# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 თებერვალი 2007 №38 (2961) ფასი 50 თეთრი

# 3:2




# ბომ!

## ვან ბომელმა ბაიერნს რეალური შანსი მისცა

## ფოტოფაქტები და ინფარქტები ლანსიდან

## კინაღამ ჩაშლილი: ლილი ქალივით აფირეს





ფრანგების ჯერაც დაუყენებელი კედელი და რაიან გიგზის უპატიოსნო დარტყმა, რომელსაც ტრიბუნებზე დიდი არეულობა მოჰყვა

# უბურთო შეკრებაზე ასათიანი ბურთის გრძნობაზე ფიქრობს

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი დღეს მოსკოვის „ლოკომოტივს" ჰოლანდიურ შეკრებაზე მიჰყვება. უკვე სამი თვეა, მალხაზი რუსულ პრემიერლიგაში ცეესკას მაშინდელ ფორვარდ ივიცა ოლიჩისგან დაზიანებულ ფეხს მკურნალობს და ჯერაც არ შეუძლია მთელი დატვირთვით ვარჯიში, მაგრამ...



— „ლოკომოტივთან" ერთად ჰოლანდიაში მივემგზავრები. ხელმძღვანელობამ მთხოვა, შეკრებაზე გუნდთან იყავიო. „ლოკომოტივის" ექიმები ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით კმაყოფილები არიან და შეკრებაზე წასვლამდე ჩათანადო რჩევებისთვის გერმანელებსაც მიმართეს — გვითხრა წუხელ მალხაზ ასათიანმა — ტრავმას გერმანიაში ვმკურნალობდი და იქაურმა ექიმებმა უკეთ იციან, დღესდღეობით როგორი დატვირთვები მჭირდება.

**— და რა თქვეს გერმანელმა ექიმებმა?**

— ჰოლანდიაში მხოლოდ სპეციალური პროგრამით ვივარჯიშებ. ჩემთვის ჯერ ბურთთან შეხებაც არ შეიძლება.

**— ბურთით ვარჯიშის განახლება როდისთვის შეგეძლება?**

— სავარაუდოდ, ერთ თვეში. გერმანიაში სარეაბილიტაციო კურსი დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ გარკვეული პერიოდი კიდევ სიფრთხილეა საჭირო.

**— ექიმები უფრო ზუსტად რას ამბობენ?**

— ტრენაჟორებით და სხვა მსუბუქი ვარჯიშებით კუნთები უნდა გამაგრდეს. უკვე სწრაფად სირბილიც შემიძლია, მაგრამ გართულებების მოსარიდებლად სპეციალისტები გეგმაზომიერ დატვირთვებს მირჩევენ.

**— გუნდთან ვარჯიშს ერთ თვეში დაიწყებო, თქვი. სათამაშო ფორმის აღდგენასაც, ალბათ, კიდევ ერთი თვე დასჭირდება...**

— ალბათ, ასე იქნება. მთავარია, ბურთის გრძნობა დავიბრუნო, თორემ ფიზიკური მომზადების მხრივ, ვფიქრობ, ახლაც არაფერი მიჭირს. ვნახოთ, დიდი იმედი მაქვს, რომ მალე სასურველ ფორმაში ვიქნები. ჯერჯერობით კი ჰოლანდიაში უბურთოდ ვარჯიში მომიწევს. მწვრთნელების თქმით, ამ ეტაპზე მთავარი ისაა, რომ გუნდთან ვარ.

**ძოგბა ინასარიძე**

# ვაშაკიძე გაპრესეს

## კლუბი ტყუის თუ გაზეთი?

**თუ უკრაინაში** „დემეტრაძის საქმე" აგიზგიზდა, აზერბაიჯანში შესაძლოა, „ვაშაკიძის საქმის" გამოძიება დაიწყოს.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურში „თურანმა" სტუმრად 0:2 წააგო ალეკო გოგობერიშვილისა და ამირან მუჯირის „ბაკისთან". „თურანის" უფროსობამ კი მარცხი ლეგიონერებს, ნიგერიელ ვიქტორ იბეკოის და ირაკლი ვაშაკიძეს დააბრალა.

„არ მახსოვს, მათ ადრე ასე ცუდად ეთამაშათ. ისეთმა გამოცდილმა მცველმა, როგორიც ვაშაკიძეა, ძალიან უხეში შეცდომები დაუშვა. „ბაკისთან" ამ ორი ლეგიონერის გამო წავაგეთ" — უთქვამს „თურანის" პრეზიდენტ რაშიდ მაგერამოვს, რომელსაც კვერი „თურანის" მათავარმა მწვრთნელმა საკიტ ალიევმაც დაუკრა: „ლეგიონერებმა მართლაც ცუდად ითამაშეს. ამ ყველაფრის უკან ისეთი ხალხი დგას, რომელთაც ბინძური ზრახვები ამოძრავებთ და მომხდარში გარკვევას ვაპირებ".

ერთ-ერთი აზერბაიჯანული ვებგვერდი იუწყება, მომხდართან დაკავშირებით „თურანი" შიდასაკლუბო გამოძიებას დაიწყებსო.

**და რასა იქმს ამ დროს ვაშაკიძე?**

— „თურანის" პრეზიდენტს და მწვრთნელს ვულაპარაკე, მითხრეს, მსგავსი არაფერი გვითქვამს, მომდევნო ტურში პრინციპული მატჩი გვაქვს „ოლიმპიკთან" და ალბათ ასეთი ინფორმაცია განზრახ გაავრცელესო.

**— რომელმა გაზეთმა დაბეჭდა „თურანის" პრეზიდენტისა და მწვრთნელის კომენტარები?**

— „ფანატმა" და, სხვათა შორის, ამ გაზეთიდან ახლახან დამირეკეს. ჟურნალისტმა მითხრა, რაც „თურანის" პრეზიდენტმა და მწვრთნელმა თქვეს, ჩვენც ის გამოვაქვეყნეთო. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, ცილისმწამებლებმა ბოდიში უნდა მომიხადონ.

**დავით თავართქილაძე**





# დემიანენკოს კარგი თვალი

## ალადაშვილი გოგუას გაეჯიბრება

კიევის „დინამოს" ნახევარმცველი კახა ალადაშვილი ნელ-ნელა წინ მიიწევს. ის კარგა ხანი ვერ იკიდებდა ფეხს „დინამოს" პირველ გუნდში და პირველ წრეში დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" გაანათხოვრეს. „დნიპროდან" „დინამოში" მიბრუნებული ალადაშვილი ჯერ მეორე გუნდში ვარჯიშობდა და კიეველთა თავკაც ანატოლი დემიანენკოს აზრი შეაცვლევინა — კახა „დინამოს" პირველ გუნდში დააბრუნეს და ისრაელურ შეკრებაზე წაიყვანეს. „დინამო" ახლა კიევშია და ალადაშვილსაც იქ შევეხმიანეთ...

**— შენი საქმე უკეთესობისკენაა...**

— ასეთი პირი უჩანს. დემიანენკომ კარგი თვალით შემომხედა, რასაც ნამდვილად არ ველოდი. ისრაელში შეკრებაზე წასვლამდე სხვა გუნდში გადასვლა მინდოდა, ახლა კი აზრი შევიცვალე.

**— შეკრებაზე ყველა მატჩი ითამაშე და კლუბის ვებგვერდის ცნობით, საკმაოდ კარგადაც...**

— მართლა კარგად ვითამაშე, ძირითადად შეცვლებზე შევდიოდი და ყოველთვის აქტიური ვიყავი. ერთი ბურთიც გავიტანე და რამდენიმე საგოლე პასიც გავაკეთე, მოკლედ, კარგ ფორმაში ვარ.

**— სულ შეცვლებზე რატომ გათამაშებდნენ?**

— „დინამოში" დიდი კონკურენციაა, სასტარტო შემადგენლობა სულ იცვლება. მართალია, სასტარტოში არ ვიყავი, მაგრამ ძირითადში მოხვედრის იმედი არ დამიკარგავს.

**— შენი კონკურენტი ანდრეი ეშენკოა?**

— კი, ისიც მარჯვენა ფლანგელია თამაშობს. თითქმის ყველა მატჩში სწორედ მას ვცვლიდი.

**— დემიანენკომ თქვა, ესპანურ შეკრებას ისრაელში ნამყოფთაგან ოთხი გამოაკლდებაო — შენი საქმე როგორაა?**

— მე გუნდს მივყვები, ხვალ მივფრინავთ და მზადებას იქ დავასრულებთ. მერე კი უკრაინის ჩემპიონატი განახლდება და დანარჩენი იქ ვნახოთ.

**— ესპანეთში, გოგიტა გოგუას ნახავ, პირველი საკონტროლო თამაში „ტომთან" გაქვთ...**

— გოგუა იქ არის? ძალიან კარგი, „ტომს" 23 თებერვალს ვეთამაშებით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა
დაბადების დღეს ულოცავენ ფედერაციის
ვიცე-პრეზიდენტს და ლიგის პრეზიდენტს
დიმიტრი რამიშვილს



საქართველოს
ფეხბურთის ფედერაცია
და ეროვნული ნაკრები
ლევან კობიაშვილს და თამუნა წულეისკირს
ულოცავენ ქალიშვილის სალომეს დაბადებას



სარბიელელები
ვულოცავთ საქართველოს
ეროვნული ნაკრების წევრს
ლევან კობიაშვილს და თამუნა წულეისკირს
ქალიშვილის სალომეს დაბადებას

# დუშან უჰრინი 200 პროცენტის წინააღმდეგ

— „დინამომ" წლეულს პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და საინტერესოა, როგორ შეაფასებდით „ამერთან" შეხვედრას?

— ტექნიკური. თვალსაზრისით, ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. იყო აგრესია, ბრძოლა. ჩვენც და „ამერმაც" ანთალიაში გავიარეთ შეკრება, კარგად მოვემზადეთ და ვფიქრობ, სანახაობრივად კარგი თამაშიც გამოვიდა.

— „დინამოს" ხელმძღვანელობა მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. თქვენ რას იტყვით?

— საერთოდ, მსაჯობაზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მე პირველად ვნახე, მსაჯს სამი დასანიშნი პენალტიდან ერთიც არ დაენიშნოს.

— თქვენი აზრით, სამივე პენალტი უეჭველი იყო?

— დიახ. მე ვიდეოფირზე ვნახე ეს მომენტები და საეჭვო არაფერი ყოფილა.

— ნახევარფინალში გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?

— ორმოცდაათი-ორმოცდაათზე. ჩვენ ხომ 1:0-იც გვყოფნის...

— მსაჯობას რომ თავი დავანებოთ, „დინამოს" სხვა რა დააკლდა „ამერთან" მოსაგებად?

— ანთალიაშიც და „ამერთანაც" ერთი და იგივე პრობლემა გვქონდა — ბევრ ხიფათს ვქმნიდით და რეალიზაციაში მოვიკოჭლებდით. „ამერთან" საწყის ნახევარ საათში ბიჭები ნერვიულობდნენ, რაც უნდა იყოს, ხუთი ახალი ფეხბურთელი გვყავდა და ორი მათგანი — ნედ ზელიჩი და მილოშ კრშკო — საქართველოში საერთოდ პირველად თამაშობდა. ხუთივე ახალწვეული კარგი მოთამაშეა, „ამერთანაც" რიგიანად გამოიყურებოდნენ.

— ძლიერ და ამბიციურ გუნდს თითო პოზიციაზე ორი ფეხბურთელი სჭირდება. „დინამოში" ამ მხრივ პრობლემა არ გაქვთ?

— ორი ფეხბურთელი ყველა პოზიციაზე მყავს, კონკურენცია სერიოზულია. შედარებით ნახევარდაცვაში გვიჭირს, რაც „ამერთანაც" გამოჩნდა — ეს დროის ამბავია, გუნდი უფრო შეთამაშდება და... თავდასხმაში სანდრო იაშვილი გვყავს, რომელიც ჩვენთვის დიდი ძალაა. ახლა კი სერბი ილია სპასოევიჩის იმედიც გვაქვს, მან ანთალიაში ორი მატჩი ჩაატარა და ჯერ გუნდს უნდა შეეწყოს. სპასოევიჩი ახალგაზრდა ბიჭია, თავდამსხმელისთვის საჭირო თვისებები აქვს.

თბილისის „დინამო" ყოველთვის საინტერესო თემაა და მიუხედავად იმისა, რომ წარმატებები გაუძვირდა, მისი ყველა ნაგება მაინც ხმაურს იწვევს. სახელოვანი მწვრთნელი და კარგი ტრანსფერები — „დინამო" არცთუ უიმედოდ ხვდება მეორე წრეს, მანამდე კი დუშან უჰრინის გუნდმა სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩი წააგო „ამერთან" — 1:2. ჩეხ სპეციალისტს გუშინ დილმის ბაზაზე ვესტუმრეთ და, ბუნებრივია, მხოლოდ „ამერთან" თამაშზე არ გვისაუბრია, თუმც აქედან კი დავიწყეთ...



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

— „ამერთან" ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშეთ. საერთოდაც, ასეთ ტაქტიკურ სქემას ამჯობინებთ?

— ანთალიაში რამდენიმე ვარიანტი დავამუშავეთ, ორი ფორვარდითაც ვთამაშობდით. გუნდის შემტევი პოტენციალი თავდამსხმელთა რაოდენობაზე არაა დამოკიდებული — „ამერთან" ერთი ფორვარდი კი გვყავდა, მაგრამ ხუთი-ექვსი საგოლე მომენტი შევქმენით.

— ირაკლი სირბილაძე კვლავ თქვენთან ვარჯიშობს. მას დაიტოვებთ გუნდში?

— ვნახოთ. სირბილაძე ჯერ არაა სათანადოდ მზად, თუმცა მას ვაკვირდები.

— შოთა გრიგალაშვილი „ბორჯომში" გაანათხოვრეთ, არადა, ეს ფეხბურთელი შარშან ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს. გრიგალაშვილს დისციპლინაში ჰქონდა პრობლემები?

— გრიგალაშვილი ჩვენთან სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობდა. ის რომ „დინამოში" დამეტოვებინა, შესაძლოა, სათამაშო პრაქტიკა საერთოდ არ ჰქონოდა და ამიტომაც ვარჩიეთ მისი ისეთ გუნდში წასვლა, სადაც თამაში მოუწევს. გრიგალაშვილი კარგი ფეხბურთელია და თუ „ბორჯომში" თავს გამოიჩენს, დავიბრუნებთ.

— საქართველოს ჩემპიონატში კიდევ თუ ხედავთ ისეთ ფეხბურთელებს, რომელთა შეძენა „დინამოს" მნიშვნელოვნად გააძლიერებდა?

— ჯერ მეორე წრე არ დაწყებულა. ისე კი, პირველ წრეში ვინც მომწონდა, მათგან ორი ფეხბურთელი გადმოვიყვანეთ.

— ჩემპიონობისთვის და თასისთვის ბრძოლაში „დინამოს" კონკურენტთაგან ვის გამოარჩევდით?

— ექვსი-შვიდი გუნდია, რომლებთანაც მოგება იოლი არ იქნება. „ამერმა" უკვე დაგვანახა თავისი ძალა. სახიფათოა „ოლიმპიც". ცხრილში სიმჭიდროვეა, რაც დაძაბულ მატჩებს გვპირდება.

— ხუთი თვეა, რაც „დინამოს" წვრთნით. ამ ხნის მანძილზე თუ წააწყდით ისეთ პრობლემას, რომლის მოგვარებაც ძალიან გიჭირთ ან შეუძლებლად მიგაჩნიათ?

— არა, მსგავსი პრობლემა არ მაქვს. „დინამოსთან" ყველა გუნდი 200 პროცენტით იხარჯება. ასევე იყო ჩეხეთში, როდესაც „სპარტას" ვწვრთნიდი. სახელოვან კლუბთან ყველა ორმაგი მონდომებით თამაშობს.

— თქვენი აზრით, „დინამო" ჩეხეთის ჩემპიონატში დაახლოებით რომელ ადგილზე იქნებოდა?

— ჯერ არცთუ დიდი ხანია, რაც „დინამოში" ვარ. ამ ეტაპზე ჩეხეთში დაბალ საფეხურებზე ვიქნებოდით, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ვინ იცის... ისე, ძალიან მინდა, ჩემი შვილის გუნდს, „ბოლესლავს" ვეთამაშო ევროთასებზე ან თუნდაც ტესტ-მატჩში.

— კონკრეტულად სანდრო იაშვილზე გკითხავთ: მის ხასიათზე ბევრს ლაპარაკობდნენ. თქვენი „დინამოში" მისვლის შემდეგ მან თამაშს მოუმატა. რაიმე ფსიქოლოგიური ჩარევა დაგჭირდათ?

— იაშვილი ნამდვილად კარგ გზას ადგას და თუ ასე გააგრძელებს, სერიოზული ფეხბურთელი დადგება. იაშვილთან პრობლემა არ მქონია, ისე კი, პატარა-პატარა პრობლემები ყველა გუნდშია და ამას ვერავინ გაექცევა.

— თქვენი აზრით, „დინამოში" თუ არიან ის ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში მიწვევას იმსახურებენ? ცხადია, შაშიაშვილის გარდა...

— ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს. მე კარგი გუნდის შექმნა მინდა — გუნდის და არა ცალკეული ფეხბურთელების. ასე რომ, ჩემი მიზანი კონკრეტული ფეხბურთელის წარმოჩენა კი არა, გუნდის წინსვლაა.

— ქართული კლუბებიდან თითო-ოროლაა ისეთი, რომელიც წლების მანძილზე ასე თუ ისე სტაბილურად ინარჩუნებს შემადგენლობას. დანარჩენი გუნდები კი, მათ შორის „დინამოც", ლამის ყოველ სამ თვეში ერთხელ იცვლებიან. ამაში არ ხედავთ დიდ პრობლემას?

— ცხადია, ეს ძალიან ცუდია. გუნდი შეთამაშებული უნდა იყოს, ფეხბურთელთა ხშირი ცვლა კარგს არაფერს მოიტანს. „დინამოში" სტაბილურობის პროცესი უკვე დაწყებულია.

— და ბოლოს: როდის შეეძლება „დინამოს" ევროთასებზე ღირსეულად თამაში?

— ამ გზას მივყვებით. აი, ანთალიაში შეკრებაზე რამდენიმე უკრაინულ გუნდს ვეთამაშეთ და „დინამო" მათთან ტოლსწორად გამოიყურებოდა. უკრაინული ფეხბურთი კი, თავადაც იცით, ბოლო დროს დიდ პროგრესს განიცდის — ევროპაში თავისი ადგილი უკავია, მათი ნაკრები კი ფიფას რეიტინგში მეთერთმეტე საფეხურზეა.

**ილია ნანობაშვილი**

## მსაჯებო, სწორდით!

23 თებერვალს განახლდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა. პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უკვე გაამწესა მსაჯები მეორე წრის პირველი ტურის მატჩებზე:

**ბორჯომი — დინამო**

დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, კ. ბერიძე; ხ. გაგნიძე

**ბათუმი — დილა**

კ. ჭაჭუა; ნ. რუსიშვილი, ი. მაჩიტაძე; გ. კიკაჩეიშვილი

**ოლიმპი — სიონი**

ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიძე; ი. ურუშაძე

**მერანი — კახეთი**

პ. დოგრაშვილი; ს. სპიცინი, ი. კაკაბაძე; დ. სანაია

**ლოკომოტივი — ზესტაფონი**

მ. მაისურაძე; გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი; ვ. გუმბერიძე

**ჩიხურა — ამერი**

ო. ხეცაძე; ა. კოკაია, ი. უკლება; ზ. ასკაროღლი

**ვიტ ჯორჯია — ტორპედო**

მ. ბეუქლიშვილი; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ა. გუნთაძე



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

ბორის გონჩაროვი

## დილამ ნაკრების ხალხსაც უხმო

**კლუბში** ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამ გორის „დილა" მაგრად ამოასუნთქა — გორელები ხომ ბოლო წლებში რის ვაი-ვაგლახით ამთავრებდნენ ხოლმე ჩემპიონატს...

ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „დილას" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უსიკვდილოდ უნდა: გუნდი „ბათუმთან" ექვს, „ჩიხურასთან" კი შვიდ ქულას აგებს.

„დილამ" ბოლო დღეებში ოთხი ახალი ფეხბურთელი დაიმატა. თავდამსხმელები — ბორის გონჩაროვი და საბა სულთანიშვილი; მცველი გიორგი ბალაშვილი ვისაც ეროვნულ ნაკრებში სამჯერ უთამაშია და ნახევარმცველი მურთაზ ბურნაძე. ოთხივე ამ მოთამაშეს საქართველოს ჩემპიონატში ყველა იცნობს, თუმც მათ უთამაშებლობის პრობლემა აქვთ.

გონჩაროვმა გია გეგუჩაძის დროინდელი „დინამოს" შემდეგ ცოტა ხანს ითამაშა „ბათუმში"; სულთანიშვილმა და 33 წლის ბალაშვილმა სწორედ „დილაში" დაიწყეს კარიერა — საბა ბოლოს „ჩიხურაში" იყო, თუმც არცთუ ხშირად უწევდა თამაში, გიორგი კი კარგა ხნის უთამაშებელია; ხოლო ბურნაძე ერთი პერიოდი მოლდოვის „შერიფში" იყო, საიდანაც შარშან „ბათუმში" გადავიდა, მაგრამ იქ დიდხანს არ გაჩერებულა — ბურნაძე თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ანრიმაც იცის, ვინ არის დემე



**საქართველოსა** და საფრანგეთის ნაკრებთა თავდამსხმელები გიორგი დემეტრაძე და ტიერი ანრი ერთმანეთს საფეხბურთო მოედნის მიღმაც შეხვდნენ — ეინდჰოვენის ახლოს მდებარე სასტუმროში.

ანრის „არსენალი“ გუშინ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში პსვ-ს ეთამაშა და მატჩის წინ ბანაკი სწორედ იმ სასტუმროში დასცა, სადაც შეკრებაზე მყოფი დონეცკის „მეტალურგი“ სახლობს. ტიერი ანრის ჩვენებური უცვნია. ფეხბურთელებს 2 სექტემბრის საქართველო — საფრანგეთის მატჩზეც უსაუბრიათ და სამახსოვრო ფოტოც გადაუღიათ. ანრი უკვე ლონდონშია, დემეტრაძე კი „მეტალურგთან“ დარჩა ჰოლანდიაში და მზადებას განაგრძობს.

ამასობაში კიევის პეჩორის სასამართლოში „დემეტრაძის საქმის“ განხილვა დაიწყო — უკრაინაში ლეგიონერთა ლიმიტის შესაძლო შემცირების გამო ხომ ქართველმა ფეხბურთელმა სარჩელი შეიტანა. დემეტრაძე შეკრების გამო სასამართლო პროცესს არ ესწრება, მის ინტერესებს უკრაინელი ადვოკატი დაიცავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაშვილი ნაკრებში შოტლანდიით ბრუნდება

სრულიად განსხვავებულ მეორე წრეს თამაშობს „ფრაიბურგი“. ალექსანდრე იაშვილის და ოთარ ხიზანეიშვილის გუნდმა ბოლო ხუთ მატჩში ოთხი მოიგო, ერთი კი ფრედ ითამაშა. გუშინწინ სტუმრად „ფიურტთან“ (0:0) ორივე ქართველი სასტარტოში იყო და სრულადაც ითამაშეს. „ფრაიბურგი“ ახლა მესამეადგილოსან „ჰანზას“ 10 ქულით ჩამორჩება და აშკარაა, პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება რთული იქნება, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე იმედიანადაა. გუშინ „ფრაიბურგზე“ და საქართველოს ნაკრებზე სასაუბროდ ეროვნული გუნდის თავდამსხმელ ალექსანდრე იაშვილს შევეხმიანეთ...

— მეორე წრეში ძალიან მოუმატეთ, თითქოს მეორე სუნთქვა გაგეხსნათ...

— ნეტავ პირველ წრეშიც ასე გვეთამაშა და ქულები უაზროდ არ დაგვეკარგა. არადა, ყველა ძლიერ გუნდთან კარგად ვითამაშეთ, სუსტები თითქოს ვერ შევაფასეთ და ახლა ვნანობთ.

— ბუნდესლიგაში გადასვლაზე ხელი ხომ არ ჩაგიქნევიათ?

— სეზონის დასაწყისში ეს მიზანი გვქონდა, მაგრამ დარჩენილი თამაშების რაოდენობა თანდათან მცირდება, წამყვან გუნდებთან კი სხვაობა ჯერაც დიდია და ამიტომ თავს ვიკავებთ დაპირებებისგან. თუმცა პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების შანსი კიდევ შეგვრჩა. ახლა მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ და თამაშიდან თამაშამდე მოვუმატოთ. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და მეტოქეთა წაფორხილებასაც დაველოდებით.

— „ფიურტთან“ თამაშში მოგების შანსი გქონდათ?

— შანსი კი გვქონდა, მაგრამ რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ეს მატჩიც რომ მოგვეგო, საქმეს წინ წავწევდით, შესაძლოა, ეს დაკარგული ქულები გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს.

— შენ თუ შეგეძლო „ფიურტთან“ ბურთის გატანა?

— არა, ასეთ ხელსაყრელ სიტუაციაში არ ვყოფილვარ, თანაგუნდელები კი რამდენჯერმე დავტოვე კარგ პოზიციაში.

— პასებით გამორჩეული ხარ...

— გამოკვეთილი თავდამსხმელი არ ვარ და ამიტომ. მთავარია, გუნდმა მოიგოს და მნიშვნელობა არ აქვს, მე გავიტან თუ სხვა.

— კარგა ხნის პაუზის შემდეგ ხიზანეიშვილმაც სრულად ითამაშა. შემობრუნდა ფინკე მისკენ?

— ხიზანეიშვილზე ფინკე გულაცრუებული არასდროს ყოფილა. უბრალოდ, ტრავმის შემდეგ ბოლომდე ვერ ენდობოდა და ამიტომაც არ ათამაშებდა. ოთარი ახლა კარგ ფორმაშია და მწვრთნელიც ენდობა.

— შოტლანდიასთან მატჩი ახლოვდება, ნაკრების მწვრთნელები არ შეგხმიანებიან? ბოლო ორ თამაშზე გამოძახებული არ იყავი...

— რალფ მინგემ დამირეკა და ვესაუბრეთ. მითხრა, შოტლანდიისთვის კარგ ფორმაში უნდა იყოო. მოკლედ, გამომიძახებენ.

— თურქეთთან თამაშზე რას იტყვი?

— გაკვირვებულიც კი დავრჩი. არ მეგონა, ამდენი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნაში ნაკრები ასე კარგად თუ ითამაშებდა. ხარისხი შეიძლება ძალიან მაღალი არ იყო, მაგრამ ბიჭების ბრძოლისუნარიანობამ ყველაფერი გადაწონა. ასეთი ფინი თუ შერჩა გუნდს, სულ მალე ჩვენ სიტყვას ვიტყვით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რევაზ ქემოკლიძე: ჩამოსაწერი არ ვარ

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი რევაზ ქემოკლიძე თითქმის ორწლიანი უქმობის შემდეგ საჩხერის „ჩიხურაში“ გამოჩნდა. მანამდე ის თბილისის „დინამოს“ საკუთრება იყო, თუმც ბოლო დროს თამაში აღარ უწევდა. ქემოკლიძესთან საუბარიც ამით დავიწყეთ



მურაზ ტოლორდავაშვილის ფოტო

— რა იყო „დინამოში“ შენი უთამაშებლობის მიზეზი?

— „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, მე კი პირობებზე არ დავთანხმდი და პრობლემებიც მას შემდეგ შემექმნა. საერთოდ, თბილისის „დინამოში“ ასეთი წესია, ვინც კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, მას ტრანსფერზე აყენებენ. თან ჩემს გამოსასყიდად იმხელა თანხა მოითხოვეს, რომ საქართველოში ამის გადამხდელი არავინ იყო.

— საჩხერის „ჩიხურაში“ როგორ აღმოჩნდით?

— „ჩიხურას“ ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. და შემომთავაზებაზე უარი არ ვთქვი, მათთან მეთამაშა, „ჩიხურაში“ ნახევარი სეზონი დავრჩები. ეს ნაბიჯი იმიტომაც გადავდგი, რომ აქ ჩემი ყოფილი დინამოელი თანაგუნდელები არიან — ქუცურუა, სტურუა, დვალი, მახარაძე. წინადადებები იყო „ბათუმიდან“ და „მერანიდანაც“, მაგრამ „ჩიხურამ“ უკეთესი პირობები შემომთავაზა.

— „ჩიხურაში“ პირველი მატჩი თასზე ბოლნისის „სიონთან“ ითამაშე. რას იტყვი ახალ კლუბზე?

— პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, „ჩიხურას“ შეკრება არ გაუვლია და ორი ბურთიც გაუშვით. მეორე ტაიმში თამაში გამოვასწორეთ და ანგარიშიც გავათანაბრეთ, თუმცა „სიონმა“ გამარჯვების მაინც გაიტანა. საბოლოო ჯამში არც ისე ცუდად გამოვიყურებოდით და ვფიქრობ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგვიჭირდეს.

— საქართველოს ნაკრებში 20 შეხვედრა გაქვს ჩატარებული. ალბათ ფიქრობ იქ დაბრუნებას...

— მინდა, ყველას დავუმტკიცო, რომ ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვარ. ოცნება საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაა და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ეს ოცნება ავიხდინო. თუ კარგად ვითამაშებ, არა მგონია, ნაკრების ხელმძღვანელობამ ეს ვერ დაინახოს.

**ოთარ აბესაძე**

# იმედაშვილი ცივი ზღვისკენ

**კიევის** „დინამოში“ დღესდღეობით სამი ქართველია — კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი. თუმცა, შესაძლოა, მალე „დინამოში“ ორი ქართველი დარჩეს...

ოთარ მარცვალაძე შარშან, შემოდგომაზე მიღებულმა ტრავმამ გატანჯა და ჯერაც უქმობს. ის ვარჯიშს უკვე შეუდგა, თუმც დიდ დატვირთვებს ჯერ ერიდება. სრული დატვირთვით ვარჯიშს ორ კვირაში შევუდგებიო, გვითხრა მარცვალაძემ.

სხვაგვარადაა დავით იმედაშვილის საქმე. იგი უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში ძირითად გუნდში იყო, მაგრამ ანატოლი დემიანენკომ ზამთრის შესვენებისას ჯერ მეორე გუნდში გადაიყვანა, ახლა კი სულაც განათხოვრებას უპირებენ — იმედაშვილ ლატვიაშია და შარშანდელი ჩემპიონ „ვენტსპილსში“ ვარჯიშობს.

**ლუკა თალაკვაძე**



**პროფესიული** ფეხბურთის ლიგის თაოსნობით და ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან მატჩებზე დამსწრენი ბილეთებთან ერთად წამახალისებელ ლატარიაში მონაწილეობის უფლებასაც მიიღებენ.

პროექტის პრეზენტაცია დღეს გაიმართება „მიხეილ მესხზე“ და დეტალებზეც იქ იტყვიან.

ისე კი, ჩემპიონატის მატჩებზე უფრო მეტი მაყურებლის მოსაზიდად პროფლიგა კიდევ რამდენიმე პროექტის განხორციელებას აპირებს და უახლოეს მომავალში ქომაგობას, ალბათ, სხვა სიახლებიც ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიშტიანუ რონალდუ ინტერსაც აინტერესებს



კრიშტიანუ რონალდუსთვის მილანის „ინტერსაც“ დაუდგამს თვალი. იტალიური „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „ნეროადურის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი მზადაა, 35 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

მასიმო მორატი: „თუ ჩვენი მწვრთნელი რობერტო მანჩინი რონალდუთი დაინტერესებულია, ამას მეც მივაქცევ ყურადღებას. კრიშტიანუ განსაკუთრებული ფეხბურთელია და „ინტერს“ სწორედ ასეთი მოთამაშე სჭირდება, თუმცა მისი ყიდვა ძნელი იქნება. თანაც, სიმართლე გითხრათ, პირადად მე რონალდუს შეძენის აუცილებლობას ვერ ვხედავ“.

მანჩინი კი რონალდუზე უარს სულაც არ ამბობს: „იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია, თანაც ჯერ ახალგაზრდაა და დიდი პოტენციალი აქვს. ძალიან გამიხარდება, თუ კრიშტიანუ ჩვენთან გადმოვა“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მომეცით რონალდინიო!



**იტალიური** „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ SKY ITALIA-ს საინტერესო რამ უთხრა...

„რონალდინიომ იცის ჩვენი ინტერესის შესახებ და „ბარსელონაც“ საქმის კურსშია. თუმცა არავის შეწუხებას არ ვაპირებთ. არ ვიცი, რამ შეიძლება აიძულოს ისეთი ძლიერი და მდიდარი კლუბი, როგორიც „ბარსელონაა“, რონალდინიო გაყიდოს, მაგრამ თუ ეს მოხდა, ჩათვალეთ, ბრაზილიელი „მილანის“ ფეხბურთელი იქნება. თუ შანსი მოგვეცა, გამოვიყენებთ“.

უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ იმაზეც, „მილანში“ კარლო ანჩელოტის დღეები დათვლილია და ზაფხულიდან გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლებაო... გალიანიმ ამასაც გაუკეთა კომენტარი: „მწვრთნელის ამბავი შედეგებზეა დამოკიდებული. კარლო ბოლო წლებში ბრწყინვალედ მუშაობს. იმედი მაქვს, მისთვის ეს სეზონიც წარმატებული იქნება“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ელოდეთ კლასიკას

## რაიკარდი განსაკუთრებულია, მაურინიუ — განუმეორებელი



სერ ბობი რობსონი ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანია. ახლახან იგი ბარსელონაში, კატალონიური გრანდის პრეზიდენტ ხუან ლაპორტასთან შესახვედრად ჩავიდა და BARCA TV-ს ინტერვიუც მისცა. კატალონიელთა ყოფილმა მწვრთნელმა „ლივერპულთან“ დღევანდელ მატჩსა და სხვა საინტერესო საკითხებზეც ისაუბრა...

— ისევ აქტიურად ხართ ჩართული ფეხბურთში?

— რა თქმა უნდა. ამჟამად ირლანდიის ნაკრების კონსულტანტი ვარ და ეს ძალიან მეამაყება.

— დიდი დრო გავიდა მას მერე, რაც ბოლოს ბარსელონაში იყავით...

— დიახ, სამი წელი.

— მოგწონთ ახლანდელი გუნდი?

— ძალიან. როდესაც ეტოო და მესი აღიდგენენ ფორმას, „ბარსას“ მეტოქეებს დიდი ჯაფა დაატყდებათ თავზე. ამას რომ ვამბობ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ რონალდინიოს, დეკუს და ჩავის კლასს, რომლებსაც დიდ პატივს ვცემ. გუნდს ჰყავს ძლიერი დაცვაც: ძამბროტა, მარკესი და პუიოლი უმაღლესი დონის მოთამაშეები არიან. „ბარსელონა“ დიდი გუნდია, ერთ-ერთი საუკეთესო ევროპაში.

— რას ფიქრობთ ფრანკ რაიკარდზე?

— იგი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, ხოლო დიდი მოთამაშეები, უმეტესად, დიდი მწვრთნელები ვერ ხდებიან. ასე რომ, ფრანკის შემთხვევა განსაკუთრებულია — მისგან ჩინებული სპეციალისტი გამოვიდა. რაიკარდი გუნდს მინი-ფეხბურთის სტილში ათამაშებს, ხშირი, მოკლე პასებით. გუნდი სულ შეტევაზე ფიქრობს. წინა სეზონში „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგის მოგება დაიმსახურა, ახლა კი ხვდება გუნდს, რომელმაც მანამდე მოიგო ეს ტურნირი. შეგვიძლია, „ბარსელონა“ — „ლივერპულს“ ნამდვილი კლასიკა ვუწოდოთ.

— გახსნილ თამაშს ელით?

— რასაკვირველია. „ბარსელონას“ ძალიან გაუჭირდება და საპასუხო მატჩში „ენფილდზე“ თუ არ წააგებს, კარგი შედეგი იქნება. „ლივერპულს“ მშვენიერი დაცვა ჰყავს. ჰიპიამ რომც ვერ ითამაშოს, არიან ფინანი, აგერი, კარაგერი, რიისე... ნახევარდაცვაში ჯერარდი — ფანტასტიკური მოთამაშე. უნდა ვახსენო ჩაბი ალონსოც, რომელიც ბრწყინვალედ კითხულობს თამაშს. თავდასხმაში კრაუჩი და ბელამი, რომელთა ყიდვა მაშინ მინდოდა, როცა „ნიუკასლში“ ვიყავი — ორივე ძალიან სწრაფი და სახიფათოა. ძალიან ძლიერია კუიტიც...

— ჟოზე მაურინიუზე რას ფიქრობთ?

— იგი განუმეორებელია. ჟოზე ძალიან ჭკვიანია, თავიდანვე უაღრესად ნიჭიერი იყო — ისმენდა, კითხულობდა, ამჩნევდა და იმახსოვრებდა ყველაფერს. ვფიქრობ, მაურინიუ „ჩელსიში“ დიდ სამუშაოს აკეთებს, ჰყავს ჩინებული ფეხბურთელები, ხელმძღვანელობას კი აქვს ფული ძლიერი და საჭირო მოთამაშეების შესაძენად. ჟოზემ იცის მოთამაშეების ფასი და ის, თუ როგორ ათამაშოს ისინი.

— არ თვლით, რომ ამპარტავანია?

— ეს მისი სტილია. მიკვირს, იგი დიდი ფეხბურთელი რომ ვერ გახდა, სამაგიეროდ, ბრწყინვალე მწვრთნელია. ჟოზე ყველა მოთამაშეს აკონტროლებს, შეუძლია, ავტორიტეტით იმოქმედოს მათზე და დისციპლინა დაამყაროს — ძალიან კომუნიკაბელურია. მას ბოლომდე უნდა ენდო, რათა საქმე კარგად გააკეთოს. მაურინიუ ცოტათი მართლაც ამპარტავანია, მაგრამ იმავდროულად, განსაკუთრებული ადამიანია.

— როგორი უნდა იყოს მწვრთნელის დამოკიდებულება ვარსკვლავების მიმართ?

— მწვრთნელმა ყველაფერი უნდა აკონტროლოს. თუ ფეხბურთელი მწვრთნელს პატივს არ სცემს, ეს უკვე დიდი პრობლემაა. მოთამაშეები პროფესიონალები უნდა იყვნენ, ხოლო მწვრთნელი თითოეულ მათგანს ერთნაირად უნდა ექცეოდეს და ფავორიტები არ უნდა ჰყავდეს. ფეხბურთელებმა უნდა იგრძნონ, რომ გუნდისთვის თითოეული ერთნაირად მნიშვნელოვანია. ახლანდელ დროში მწვრთნელობა უძნელესი სპეციალობაა, რადგან მოთამაშეები ძალიან მდიდრები არიან და თუ საჭირო გახდა, მათ სათანადო დასჯას ვერ შეძლებ. მაგალითად, თუ ფეხბურთელს 2000 ევროთი დააჯარიმებ, ეს მისთვის ტრაგედია არ არის — ასეა, ცხოვრება გართულდა...

# ბაქი: სამივე უნდა დავტოვოთ

**„ჩელსის“** მმართველთა საბჭოს შეფმა ბრიუს ბაკმა SKY-თან ინტერვიუში უარყო ინფორმაცია ჟოზე მაურინიუს და ფრენკ ლამპარდის გუნდიდან შესაძლო წასვლის თაობაზე.

„ლამპარდთან და ტერისთან კონტრაქტების გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს. უახლოეს დღეებში ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთ. რაც შეეხება მაურინიუს, მან დიდებულად იმუშავა კლუბში და ყველას უნდა, რომ დარჩეს. თავად მითხრა, სხვა კლუბებთან არანაირი კონტაქტი არ მაქვსო და მე მჯერა მისი“ — ბრძანა შეფმა.

## ფერგიუსონი ცოცხით

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი სეზონის ბოლოს რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას აპირებს, რადგან გუნდში უკვე 60 კონტრაქტიანი მოთამაშეა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზაფხულში „მანჩესტერში“ ოუენ ჰარგრივსი გადავა და კიდევ არაერთი ახალწვეული იქნება, კლუბს აშკარად სჭირდება „დაბერტყვა“. THE PEOPLE-ის ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია სამი კაცის გაშვება — გუნდიდან წავლენ ინგლისელი კირონ რიჩარდსონი, შოტლანდიელი დარენ ფლეტჩერი და ირლანდიელი ჯონ ოში.

## აგენტმა კლიენტს რედინგი უპოვა

**ლა კორუნიის** „დეპორტივოს“ მცველი ხუანმა ამ ზაფხულს ინგლისურ „რედინგში“ გადავა თავისუფალი აგენტის სტატუსით. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა მარიო პარიმ SKY-ს განუცხადა. ხუანმა, სავარაუდოდ, სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

მარიო პარი: „ჩემი კლიენტი „დეპორტივოში“ დარჩენას აპირებდა, მაგრამ ბუნდოვანი მომავლის გამო ინგლისელთა წინადადებას დავთანხმდით. შემოთავაზება პრიმერადივიზიონის გუნდებიდანაც გვქონდა, თუმც „რედინგის“ ვარიანტი საუკეთესო აღმოჩნდა“.

**მაჭა ხუციშვილი**

# ცუდ ბელამიზე რიგია



**„ლივერპული“** თავის ცუდ ბიჭს, კრეიგ ბელამის ყიდის და მყიდველთა შორის ბელამის ძველი კლუბი „ბლექბერნი“ და „ასტონ ვილა“ პირველობენ.

გაბრაზებული რაფაელ ბენიტესი შლეგიან უელსელს იონ არნე რიისესთან ჩხუბის და ნორვეგიელის გოლფის ყვანჯით ცემის გამო ელევა, თორემ ფეხბურთელად ძალიან მოსწონს.

„ვილას“ თავკაცი მარტინ ონილი ბელამიში 8 მილიონ გირვანქას იხდის. ოდესღაც, როცა ბელამი „ნიუკასლის“ მენეჯერ გრემ სუნესს ეჩხუბა, მაშინ გლაზგოს „სელტიკის“ მწვრთნელმა ონილმა უელსელი იქირავა.

თავის მხრივ, „ბლექბერნის“ მარკ ჰიუზსაც უნდა ბელამის დაბრუნება. უელსელი შარშან „ბლექბერნის“ ნამდვილი ლიდერი იყო 17 გოლით და „ლივერპულში“ მხოლოდ იმიტომ გადავიდა, რომ ამ გუნდის ფანი იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დაგილეწავთ აპარატებს!

## ვიქტორია ამერიკელ პაპარაცებს დაერია



**მადრიდის** „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექემი ზაფხულში გადავა ამერიკულ „ლოს ანჯელეს გალაქსიში“, თუმცა მისი მეუღლე ვიქტორია და ბავშვები, უკვე რა ხანია, იქ არიან.

პოში თან სახლს ეძებს და თან ამერიკულ ცხოვრებას ეჩვევა.

ამ უქმეებზე კი ვიქტორიამ ბავშვები „დისნეილენდში“ წაიყვანა, თუმცა გართობა პაპარაცებმა ჩაუშწარეს.

„არ შეგიძლიათ, თავი დაგვანებოთ?! მოგვშორდით!“ — უყვირა ვიკამ აბეზარ პაპარაცებს, თუმცა მათ თავიანთი საქმე ისევ რომ გააგრძელეს, პოშმა ხელით გაიწია და აპარატურის გატეხვა მოიწადინა. აქ კი საქმეში ბექემების მხლებლები ჩაერივნენ და ფოტოგრაფებს გარიდება სთხოვეს.

**ქახა შალამბერიძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მერვედფინალი. პირველი მატჩი. დღეს

# მთავარსათაური: იძიეთ შური!

ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს „ბარსელონა“ და „ლივერპული“ და აქედან კატალონიელებმა მხოლოდ ერთხელ მოიგეს. თან ეს „ბარსამ“ შინაურ „კამპ ნოუზე“ კი არა, ინგლისელთა „ენფილდ როუდზე“ მოახერხა — 2001-02 წლების სეზონში ლიგაზე სამხრეთელებმა ჩრდილოელებს 3:1 მოუგეს. დანარჩენ შეხვედრებში ბედი აშკარად „ლივერპულის“ მხარეს გახლდათ — „წითლებმა“ „ბარსელონა“ 1975-76 და 2000-01 წლებში უეფას თასის ნახევარფინალიდან გამოთიშეს და, საერთოდაც, „კამპ ნოუ“ „ლივერპულისთვის“ იღბლიანად ითვლება: სამ მატჩში ორჯერ გაიმარჯვა, ერთხელ კი ფრე იყო.

ახლა „ბარსას“ სამაგიეროს გადახდის მშვენიერი შანსი აქვს. მართალია, „ვალენსიასთან“ კეირის ჯახი წააგო, მაგრამ ისიცაა, რომ ეტოომ და მესიმ ტრავმები მოირჩინეს და „ლივერპულთან“ თამაშს შეძლებენ.

**ბარსელონა (ესპანეთი) — ლივერპული (ინგლისი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ედმილსონი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მარკესი, მესი, დეკუ, რონალდინიო, სავიოლა

**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, სისოკო, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ლუის გარსია, კუიტი, ბელამი

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

„სამივე ითამაშებს, რონალდინიოც, ეტოოც და ლეო მესიც. „ბარსას“ წინა ხაზზე ამ სამეულის გამოჩენა გულშემატკივრისთვის ძალიან იმედისმომცემია“ — დაწერა „ელ მუნდო დეპორტივომ“.

ბრუნდება ლილიან ტურამიც. ვეტერანმა ფრანგმა მცველმა ტრავმა 24 იანვარს მიიღო და ამის გამო ექვსი მატჩი გამოტოვა.

კატალონიაში რონალდინიოს განსაკუთრებული იმედი აქვთ და თვლიან, რომ იგი ოთხშაბათს ისე გაიბრწყინებს, როგორც არასდროს. „კიჭამ“ თქვა, „ლივერპულს“ უთუოდ დავამარცხებთო, გაზეთმა „სპორტმა“ კი ასე გაამხნევა „ბარსელონა“: „გვეყო „ლივერპულთან“ წაგება — 2007 წლის 21 თებერვალი „ბარსასთვის“ ისტორიული გამარჯვების დღედ უნდა იქცეს!“

რაფა ბენიტესის ბიჭები ესპანეთში ნაჩხუბრები ჩავიდნენ. „ბარსასთან“ მატჩამდე გუნდი პორტუგალიურ ალგარვეში ემზადებოდა, სადაც კრეიგ ბელამი დათვრა და თანაგუნდელ იონ არნე რიისეს გოლფის ყვანჯი გამეტებით უხათქუნა ფეხებში. ამის გამო კლუბმა შფოთისთავი 80 ათასი გირვანქით დააჯარიმა. ცოტა ნაკლები, 70 ათასი გადაახდევინეს მეკარე ირჟი დუდეკს, რომელმაც, საკმაოდ შეზარხოშებულმა, მკლავები დაიკაპიწა და პოლიციელებს მუშტი-კრივი გაუმართა.

მთვრალები იყვნენ რობი ფაულერი და ჯერმენ პენანტიც.

„ტრავმირებულები არ გვყავს. გუნდი კარგ ფორმაშია, ბიჭებიც შერიგდნენ და „ბარსასთან“ მატჩს თითოეული მათგანი, როგორც საჭიროა, ისე მოეკიდება. მაგარი თამაში იქნება, ერთმანეთს ხომ ლიგის შარშანდელი და შარშანწინდელი ჩემპიონები ხვდებიან“ — განაცხადა „ლივერპულის“ თავკაცმა.

**ლადო ხომერიკი**



AFP

# ჩვენ ჭკვიანები ვართ

როცა „ელ პაისის“ ჟურნალისტმა დეკუს თავიდანვე „ვალენსიასთან“ წაგებაზე დაუწყო საუბარი, ბარსელონელმა უპასუხა, რაც მოხდა, იმას თავი დავანებოთ და „ლივერპულზე“ ვთქვათო. დეკუ ოპტიმისტია და, „ღამურებთან“ მარცხის მიუხედავად, ლიგაზე „წითლების“ ბეჭებზე გაკვრისა სჯერა...

**— მგონი, „ლივერპულის“ ვიზიტი „ბარსასთვის“ კარგ მომენტს არ ემთხვევა...**

— ვერ დაგეთანხმებით. ფიზიკურად შესანიშნავ ფორმაში ვართ. გუნდს სისუსტეს ვერ ვატყობ, ბევრი სიძნელე გადავლახეთ და ახლა მზად ვართ. „ბარსა“ სამივე დიდი ტურნირის — პრიმერადივიზიონის, კოპა დელ რეის და ლიგის — მონაწილეა. განა ეს დასაფასებელი არ არის?

**— თუმცა მედიისა და გულშემატკივართა კრიტიკა სხვას ამბობს...**

— ჩვენში ეჭვი უკვე სექტემბერში შეეპარათ და ეს უნდობლობა დღემდე მოგვყვება — საწყენი წაგება მხოლოდ იაპონიაში, კლუბთა მუნდიალზე ვიგემეთ. მაგრამ ეტოოს და მესის გარეშე ხომ ნებისმიერი გუნდი დაყრიდა ფარ-ხმალს: „ბარსელონა“ თვეების განმავლობაში მსოფლიოს ორი საუკეთესო ფორვარდის გარეშე თამაშობდა.

**— რა მოხდებოდა, ეტოოს და მესის ტრავმები რომ არ მიეღოთ?**

— ახლა ოცი გოლით მეტი გვექნებოდა გატანილი, ეს კი ბევრ ქულას ნიშნავს. სამუელი რომ დაშავდა, მაშინ საუკეთესო ფორმაში იყო და მისი გოლები ძალიან დაგვაკლდა.

**— და კლუბმაც ამისთვის აპატია? რაიკარდსა და რონალდინიოზე სიტყვიერი თავდასხმა ამიტომ დაუწყეს?**

— „ბარსას“ ეტოო სჭირდება, ეტოოსთვის კი „ბარსელონაა“ აუცილებელი. მას მაშინ ვესაუბრე, როცა უკვე ყველაფერი მოგვარებული იყო. სამუელი თვლის, რომ ნერვები ვერ მოთოკა და გაუგებრობის გამო რაიკარდთან და რონალდინიოსთან თავი ვერ დაიჭირა. სამუელს არ ვსაყვედურობ — უბრალოდ, ოთხთვიანი პაუზის შემდეგ ძალიან უნდოდა მოედანზე დაბრუნება.

**— ფრანკ რაიკარდზე რას გვეტყვით?**

— იმას, რომ შესანიშნავი მწვრთნელია. გაზეთები წერენ, თითქოს გულშემატკივრები და უფროსობა უკმაყოფილონი არიან მისით. ეს სიმართლე არ არის. გამოკითხვა რომ მოეწყოს, ბარსელონელ ფანთა 98 პროცენტი ხმას რაიკარდის დარჩენას მისცემდა. ვისთანაც მიმუშავია, რაიკარდი საუკეთესოა.

**— თუმც თქვენ რაფა ბენიტესსაც ძალიან აქებთ...**

— ბენიტესს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ უდიდეს პატივს ვცემ. ამ კაცმა „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. ბენიტესი არც „ჩელსიში“ მუშაობს და არც „არსენალში“, თუმცა გრანდებს თანაბარ წინააღმდეგობას უწევს. ჩემი აზრით, „ლივერპულის“ ყველაზე ძლიერი მხარე ის არის, რომ მწვრთნელად ბენიტესი ჰყავს. რაფას დამარცხება საკმაოდ ძნელი იქნება.

**— „ლივერპულს“ ესპანეთში ყველაზე მეტად „ვალენსია“ ჰგავს...**

— არც ისე ჰგვანან ერთმანეთს. „ლივერპული“, „ვალენსიისგან“ განსხვავებით, უფრო შეტევის მოყვარულია. „ლივერპული“ „ჩელსის“ უფრო ჰგავს. ლუის გარსიას გარეშე იმპროვიზაციისა და მოულოდნელობის ეფექტს კი კარგავენ, თუმცა მოედნის ცენტრი აქვთ უძლიერესი — ჯერარდი და ხაბი ალონსო მსოფლიოში საუკეთესოები არიან. ჩემი აზრით, ბენიტესს „ჩელსიზე“ მაგარი ნახევარდაცვა ჰყავს.

**— როგორ ფიქრობთ, როგორ წარიმართება ორრაუნდიანი შეხვედრა?**

— ალბათ, 4:0-ს ვერ მოვიგებთ. ყველაფერს „ენფილდზე“ ჩატარებული მატჩი გადაწყვეტს. მთავარია, „კამპ ნოუზე“ გოლი არ გავუშვათ. „ბარსა“ ჭკვიანი გუნდია და ეცდება, გოლი არ მიიღოს და მეტოქის საჯარიმო ფრთხილად მოსინჯოს — „ლივერპულმა“ სახიფათო კონტრშეტევები იცის. თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ საერთო ჯამში მოგებული დავრჩებით.

# ჯერარდი ბარსელონამდე ჟურნალისტს დაემუქრა



სტივენ ჯერარდს მშობლიური „ენფილდ როუდის“ შემდეგ ყველაზე მეტად ბარსელონური „კამპ ნოუ“ მოსწონს და თვლის, რომ ამ სტადიონზე ზღაპრული ატმოსფეროა. დღეს სტივი სწორედ „ნოუ კამპზე“ შედგამს ფეხს...

**— „ბარსასთან“ შეხვედრაზე რას ფიქრობთ?**

— ევროპის ორი გრანდი ორ თამაშში გულშემატკივარს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს. ეს საოცრად ემოციურია ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის.

**— „ლივერპულს“ „კამპ ნოუზე“ არასოდეს წაუგია...**

— ამას ნუ იტყვით! მეტად არ გაიმეოროთ, თორემ, თუ წავაგეთ, იცოდეთ, თქვენ დაგადანაშაულებთ... ეს ხუმრობით, ისე კი, კარგია, რომ სტატისტიკა ჩვენ მხარესაა. თუმცა ყოველი მატჩი თავისებურია და ადრინდელისგან განსხვავდება — მარტო ისტორიაზე დაყრდნობას არ ვაპირებთ.

**— თქვენ უკვე იცით, რას ნიშნავს „კამპ ნოუზე“ თამაში...**

— აქამდე ორჯერ ვითამაშე აქ და ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. „კამპ ნოუზე“ შესანიშნავი შთაბეჭდილება დამრჩა. „ენფილდ როუდი“ ჩემი საყვარელი სტადიონია, თუმცა მეორე ადგილზე აუცილებლად „ბარსას“ არენას დავაყენებ.

**— მაგრამ თქვენ გაქვთ „ენფილდი“, სადაც მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა გაიმართება...**

— ჩვენი მთავარი ამოცანაა, „კამპ ნოუზე“ არ ჩავაგდოთ თამაში, რათა მერვედფინალის ბედი „ენფილდზე“ გადავწყვიტოთ.

**— „ბარსას“ თამაშებს თვალყურს ადევნებთ?**

— ათი წლის წინ SKY-მ პრიმერადივიზიონის მატჩების გადმოცემა დაიწყო და მას შემდეგ, როცა საშუალება მაქვს, „ბარსელონას“ თამაშებს სულ ვუყურებ. როცა „ლივერპულის“ მატჩი მთავრდება, სახლში მივდივარ, რათა „ბარსას“ ან „რეალის“ შეხვედრას ვუყურო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა მეტოქემ „ვალენსიასთან“ წააგო, ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც „ბარსელონას“ კრიზისზე ლაპარაკობს. კატალონიელებმა „ვალენსიასთან“ კარგად ითამაშეს. უბრალოდ, არ გაუმართლათ.

**— რონალდინიო ვერაა ფორმაში...**

— ეს ვინ გითხრათ?! მე რონის ერთ-ერთი ფანი ვარ. მან თუ მოინდომა, წამში მოატყუებს ყველას.

**— ეტოოც არ ჩანს საბოლოოდ გამოჯანმრთელებული...**

— ეტოო გადასარევი მებრძოლია და თუ მართლა არ არის ფორმაში, მით უკეთესი ჩვენთვის. მაგრამ სავიოლა ან გუდიონსენი? მესი? საოცრად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს „ბარსელონას“ და მოსაგებად ბევრი ოფლის ღვრა მოგვიწევს.

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

# ერთნაირები

**ინტერი (იტალია) — ვალენსია (ესპანეთი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, ძანეტი, ვიეირა, დაკური, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ანგულო, ალბელდა, მარჩენა, დ. სილვა, ვილია, მორიენტესი

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

**„ინტერი“** და „ვალენსია“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს „შინაომებში“ ჩინებული შედეგების ფონზე ხვდებიან, მაგრამ ერთმაც და მეორემაც კარგად იცის, რომ თავიანთ ქვეყნებში კარგად თამაში ევროწარმატებას კერ უზრუნველჰყოფს.

„ინტერმა“ სერია A-ში, მოგეხსენებათ, ზედიზედ 16 თამაში მოიგო და მხოლოდ იტალიური კი არა, სრულიად ევროპული რეკორდი დაამყარა. ბუნებრივია, ევროპულს რომ ვამბობთ, „ნამდვილ“, „დიდ“ ევროპას, უფრო ზუსტად კი, იტალიას, გერმანიას, ესპანეთს და ინგლისს ვგულისხმობთ, მაგრამ ამის მიუხედავად, მილანელთა მწვრთნელი რობერტო მანჩინი ბაქიბუქს ერიდება.

„ჩემპიონთა ლიგა უცნაური შეჯიბრებაა — უთხრა მანჩინიმ „გაძეტა დელო სპორტს“ — გუნდს, შესაძლოა, ჩინებული სეზონი ჰქონდეს, მაგრამ ერთ საღამოს ფეხი დაუცდეს და ყველაფერი თავზე დაენგრეს“.

მოგეხსენებათ, „ინტერს“ იმსიგრძე სკამი აქვს, რომ „ვალენსიასთან“ დაპირისპირების წინ მანჩინიმ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის დასვენების უფლება მისცა თავს. მაგალითად, „კალიარისთან“ შეხვედრაში მარკო მატერაცი და დუგლას მაიკონი ისვენებდნენ, ხოლო ბრაზილიელმა ადრიანომ მხოლოდ 30 წუთი ითამაშა.

ნახევარდაცვაში მოსალოდნელია (თუმცა მაინც საეჭვო) დაშავებული ფრანგის პატრიკ ვიეირას დაბრუნება, რაც დეიან სტანკოვიჩს წინ გადანაცვლების საშუალებას მისცემს.

„ვალენსია“, გეხსომებათ, მერვედფინალში იმ ჯგუფიდან გავიდა, რომელშიც კიდევ ერთი იტალიური გუნდი, „რომა“ იყო — ესპანელებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

კარგად მიდის გუნდის საქმე პრიმერადივიზიონშიც. კიკე სანჩეს ფლორესის ბიჭებმა ბოლო 10 თამაშიდან 8 მოიგეს, მათ შორის, ამ კვირას „ბარსელონასთან“ — 2:1.

როდესაც სიტყვა „ვალენსიასა“ და „ინტერის“ დაპირისპირებას ეხება, გონებაში ამოტივტივდება 2004 წლის ამბავი, როდესაც მილანელებმა „მესტალიაზე“ 5:1 მოუგეს „ლამურებს“. კიდევ, ფაქტია, რომ ინტერელები ვალენსიელებს ორ მანამდელ სეზონშიც აგდებდნენ ჩემპიონთა ლიგიდან, მაგრამ სანჩეს ფლორესი წარსულს არ უშინდება:

„ათასჯერ მითქვამს, რომ „ინტერი“ დიდი გუნდია, მაგრამ „ვალენსია“ განსხვავდება იმათგან, რომელთაც მილანელები იტალიის ჩემპიონატში ხვდებიან და ერთი-მეორის მიყოლებით ამარცხებენ“.

„ვალენსიას“ ნახევარმცველი კარლოს მარჩენა: „ჩვენთვის ძალიან მომგებიანია მოკრძალებულ პოზიციაში ყოფნა. დიახ, ჩვენ ვეთამაშებით ძლიერ გუნდს, რომელიც იტალიაში ყველას ამარცხებს. სხვათა შორის, „ვალენსია“ და „ინტერი“ ერთნაირ ფეხბურთს თამაშობენ და აქედან გამომდინარე, ტაქტიკას ფრთხილად შევარჩევთ. ასეთი დიდი გუნდის დასამარცხებლად საუკეთესო ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ“.

და ერთიც: ვალენსიელებს გრიპისგან გამოუჯანმრთელდათ მეკარე სანტიაგო კანისარესი.

**ბაჩუნა ძიძია**



მადაზე მოსული „ინტერი“ „ვალენსიას“ შეჭმას უპირებს




# მისტვინეთ რამდენიც გინდათ! მაურინიუ მტერს სტუმრობს

**პორტუ (პორტუგალია) — ჩელსი (ინგლისი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ფუსილე, პ. ასუნსაო, მეირელეში, ლ. გონსალესი, მორაეში, კვარესმა, პოშტიგა, ლ. ლოპესი

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

**ჩელსი:** ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი, დროგბა, შევჩენკო

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**„ჩელსი“** ამჟამად კარგ ფორმაშია და ეს პორტუშიც უნდა დაამტკიცოს გუნდთან, რომელსაც ჟოზე მაურინიუმ 2004 წელს ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

ლონდონურმა კლუბმა იანვარში „ლივერპულთან“ 0:2 წაგების შემდეგ მიჯრით ექვსი თამაში მოიგო ისე, რომ გოლი არ გაუშვია. აი, ასეთი მეტოქე ეყოლება დღეს „პორტუს“.

ამ უქმეებზე „ჩელსიმ“ ასოციაციის თასზე „ნორვიჩს“ 4:0 სძლია და იმ შეხვედრაში მწვრთნელმა რიკარდუ კარვალიუ და კლოდ მაკელელე დაასვენა. „გუნდი საუცხოოდ თამაშობს და ამიტომ გადავწყვიტე რამდენიმე ფეხბურთელის დასვენება“ — თქვა მწვრთნელმა.

„დრაგაუზე“ 2004 წელს „მანჩესტერი“ მერვედფინალში იმ „პორტუსთან“ დამარცხდა (1:2), რომელიც შემდეგ ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა. 2005-ში კი უკვე „ჩელსი“ მაურინიუს თავკაცობით ესტუმრა „დრაგაუს“, როცა „პორტუსთან“ ერთად აღმოჩნდა ჯგუფში და „მანჩესტერის“ მსგავსად, წააგო. მესამე ინგლისური გუნდი „არსენალია“, ვინც შარშან შემოდგომაზე ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა პორტუში და შეხვედრა უგოლოდ დასრულდა — ჯგუფიდან გასასვლელად ფრე ორივეს ხელს აძლევდა.

„დრაგაუზე“ ჟოზე მაურინიუს ამჯერადაც დახვდებიან „მტრები“. „პორტუს“ ფანთა ჯგუფი, რომლებიც „ჩელსიში“ გადასვლას ვერ პატიობენ — ისინი სტვენით ხვდებიან თანამემამულეს.

„თავის დროზე, სადიდებელ სიმღერებს მიმღეროდნენ, როგორც ახლა „ჩელსის“ ქომაგები, მაგრამ ჩემი წასვლის გამო მტრებად მექცნენ. ვერანაირი სტვენა ვერ წაშლის იმ დიდ წარმატებას, რომელსაც „პორტუში“ მივაღწიე“ — განაცხადა მაურინიუმ.

ჩელსელებს დააკლდებათ მცველი ხალიდ ბულარუზი, რომელიც „ნორვიჩთან“ სათასო შეხვედრაში დაშავდა. ვერ ითამაშებენ ჯო და ეშლი კოულები, სამაგიეროდ, მომჯობინდა მიხაელ ბალაკი. გერმანელი, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება, ისევე, როგორც მაკელელე და კარვალიუ.

რაც შეეხება „პორტუს“, მასპინძლებს ეყოლებათ რიკარდუ კვარესმა, რომელმაც ჩემპიონატის ორი მატჩი გამოტოვა დისკვალიფიკაციის გამო. პორტუელთა მწვრთნელი ჟესუალდო ფერეირა 4-3-3-ით აპირებს თამაშს. ამ სქემაში წინა ხაზზე იქნებიან კვარესმა და ორი არგენტინელი — ლუჩო გონსალესი და ლისანდრო ლოპესი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ულიეს ემპოლიში რომა დაუმალეს

**რომა (იტალია) — ლიონი (საფრანგეთი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

**ლიონი:** კუპე, რეველიერი, კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ტულალანი, ტიაგუ, ჟუნინიო, მალუდა, ფრედი, ბაროში

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

**„რომას“** მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის სჯერა, რომ მისი გუნდი დღეს საუკეთესოდ წარმოაჩენს თავს „სტადიო ოლიმპიკოზე“, სადაც ბოლო რვა ევრომატჩში არ დამარცხებულა. მართალია, რომაელებმა სერია A-ში ამ უქმეებზე „ემპოლისთან“ წააგეს, მაგრამ სპალეტიმ ამანტინო მანსინი და როდრიგო ტადეი სადღეისოდ დაასვენა: „გულიანად ვერ ვიბრძოლეთ ემპოლიში, თუმც ჩემპიონთა ლიგას სულ სხვა ხიბლი აქვს და, დარწმუნებული ვარ, ბიჭები გაცილებით უკეთ ითამაშებენ „ლიონთან“, რომელიც, შესაძლოა, ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც ჩვენზე კარგად გამოიყურება“.

| 16737 | პარმა-ბრაგა | 1.30 | 2.90 |
| 16738 | რეინჯერსი-ჰაპოელი თ ა | 1.15 | 4.00 |
| 16739 | სევილია-სტიაუა | 1.06 | 6.50 |
| 16740 | აიაქსი-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 16741 | ესპანიოლი-ლივორნო | 1.23 | 3.45 |

## გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | უოტფორდი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17390 | ალკმაარი-ფენერბაჰჩე | 1.85 | 1.95 |
| 17391 | დინამო(ბქ)-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17392 | მაკაბი ჰ-ცსკა (მ) | 1.85 | 1.95 |
| 17393 | ნიუკასლი-ზ ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17394 | პანათინაიკოსი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17395 | პსჟ-აეკ | 1.85 | 1.95 |
| 17396 | ბლექბერნი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17397 | ნანსი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17398 | სელტა-სპარტაკი მ | 1.85 | 1.95 |
| 17399 | ოსასუნა-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17404 | ბარსელონა-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17405 | ინტერი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17406 | პორტუ-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | რომა-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17733 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17737 | პარმა-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17738 | რეინჯერსი-ჰაპოელი თ ა | 1.85 | 1.95 |
| 17739 | სევილია-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17740 | აიაქსი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17741 | ესპანიოლი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18404 | ბარსელონა-ლივერპული | 1.22 | 3.50 |
| 18405 | ინტერი-ვალენსია | 1.50 | 2.30 |
| 18406 | პორტუ-ჩელსი | 3.80 | 1.15 |
| 18407 | რომა-ლიონი | 2.40 | 1.50 |

## კუთხურების რაოდენობა 10,5 (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 20001 | უოტფორდი-უიგანი | 1.60 | 1.90 |
| 20404 | ბარსელონა-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 20405 | ინტერი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 20406 | პორტუ-ჩელსი | 1.80 | 1.90 |
| 20407 | რომა-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 20733 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1.60 | 1.90 |

## იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 21001 | უოტფორდი-უიგანი | 2.80 | 1.20 |
| 21404 | ბარსელონა-ლივერპული | 2.80 | 1.20 |
| 21405 | ინტერი-ვალენსია | 2.80 | 1.20 |
| 21406 | პორტუ-ჩელსი | 2.80 | 1.20 |
| 21407 | რომა-ლიონი | 2.80 | 1.20 |
| 21733 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2.80 | 1.20 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## საფრანგეთისკენ

# ნაკრების მთავარმექულე სორელს იხსენებს და ბრონკანს ამბობს



ბადრი კეთილაძის ფოტო

**ვინ, ვინ და საქართველოს ნაკრების ავ-კარგი დღევანდელი გუნდიდან, ალბათ, ყველაზე უკეთ გამოცდილმა მეათე ნომერმა პალიკო ჯიმშელაძემ იცის. 32 წლის უნივერსალმა უკანახაზელმა ნაკრებში ყველაზე მეტი, 53 მატჩი ითამაშა და „ლელოებს" 304 ქულა მოუნაგრა. ჩვენების მთავარმექულე სწორედ პალიკო ჯიმშელაძეა. ჯიმშელაძემ ითამაშა 2003 წლის მსოფლიოს თასზე და შემოდგომაზე საფრანგეთში გასამართ უდიდეს ტურნირზეც აუცილებლად იქნება. რუბრიკის მეორე რესპონდენტად ჯიმშელაძე შევარჩიეთ და მასთან საუბარი წინა მსოფლიოს თასზე ქართველების წარუმატებლობით დავიწყეთ...**

— ავსტრალიიდან უქულოდ რომ დავბრუნდით, ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ გუნდი მოუმზადებელი აღმოჩნდა ასეთი დიდი ტურნირისთვის. მსოფლიოს თასამდე თითქმის ერთთვიანი შეკრება გვქონდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, უნაყოფო — გვეუბნება ჯიმშელაძე.

**— რატომ აღმოჩნდა უნაყოფო?**

— იმიტომ, რომ მთელი თვე ერთ ტაქტიკაზე ვმუშაობდით. მერე, გეხსომებათ, იტალიასთან გვქონდა ტესტი და მწვრთნელმა კლოდ სორელმა ამ მატჩის შემდეგ გადაწყვიტა, სხვა ტაქტიკით გვეთამაშა. არადა, საამისო დრო აღარ იყო. გარდა ამისა, მსოფლიოს თასზე ისეთი მორაგბეები იყვნენ, მანამდე საერთოდ რომ არ ვიცნობდით და არც შეკრება გაუვლიათ. მე არ ვამბობ, არიქა, სორელმა დაგვაქციამეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი შეკრული არ აღმოჩნდა. ერთიც აუცილებლად უნდა ვთქვა — მესმის, რომ სორელს უნდოდა, ახალგაზრდებს გამოცდილება მიეღოთ, მაგრამ რა დააშავეს ისეთმა მორაგბეებმა, როგორებიც იყვნენ ლევან ცაბაძე, მევლუდ მთიულიშვილი და კახა ალანია, დღემდე ვერ გამიგია. მთელი თორმეტი წელი ერთად ვთამაშობდით, ერთი სამმო ვიყავით და მწვრთნელის გადაწყვეტილებით უცებ ეს ბიჭები განზე დარჩნენ. მათი არყოფნა გუნდსაც ეტყობოდა. ყველანი დათრგუნულები ვიყავით. „ლეონსიო", მევლუდა და კახა რომ ყოფილიყვნენ, მერწმუნეთ, ნაკრების ყოფა მოედანს და მის გარეთაც ბევრად უკეთესი იქნებოდა და ამაღლებული განწყობაც გვექნებოდა.

**— რაც ჩამოთვალე, გასაგებია. კიდევ იყო რამე მიზეზი?**

— ის ჩემპიონატი ჩვენთვის მეორე რომ ყოფილიყო, ურუგვაის მოვუგებდით. ახლა ისე გამოდის, რომ ჩხუბის შემდეგ ვიქნევთ მუშტებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ფსიქოლოგიურად მაინც რომ ვყოფილიყავით მზად, ურუგვაის დავამარცხებდით. თანაც მაშინ ეიფორიაში ვიყავით, ჩავთვალეთ, რომ მსოფლიოს თასზე გასვლით მაქსიმუმი გავაკეთეთ და ურუგვაის დამარცხება არ იყო ჩვენი იდეა ფიქსი.

**— ამჯერად შეიძლება ვთქვათ, რომ ნამიბიას აუცილებლად უნდა მოუგოთ?**

— ყოველი შემთხვევისთვის, ახლა საქართველოს ნაკრები მზად არის, ნამიბიის დონის მეტოქე დაამარცხოს. მე არ ვამბობს, რომ ნამიბია სუსტია, პირიქით, სამხრეთ აფრიკის მეზობელი ქვეყანაა და სარაგბო კულტურა იქ ჩვენზე უფრო განვითარებულია. ნამიბიელთა უმეტესობა ზე-14-ში თამაშობს და საფრანგეთშიც ჰყავთ ლეგიონერები, მაგრამ ჩვენსავით მათაც აქვთ თავიანთი პლუს-მინუსები და, შეიძლება ითქვას, ერთი დონის გუნდებში გავდივართ. მაინც მიმაჩნია, რომ თუ შეცდომებს არ გავიმეორებთ, ნამიბიას მოვუგებთ.

**— საქართველოს ნაკრების კონსულტანტად შეიძლება ფრანგული „ოშის" მწვრთნელი ანრი ბრონკანი დაინიშნოს. მასზე რას იტყვი?**

— ამის თაობაზე ფრანგულ პრესაშიც დაიწერა. ბრონკანი საფრანგეთში „ჯადოქარ" მწვრთნელად ითვლება. გასათვალისწინებელია, რომ „ოში", სადაც ბრონკანი მუშაობს და სადაც ჩვენი კაპიტანი ილია ზედგინიძე თამაშობს, ნახევრად პროფესიული კლუბია. მიუხედავად ამისა, ბრონკანი ახერხებს და მცირე ფინანსური გაქანების გუნდი ყოველთვის ლიდერებში ჰყავს. რაც მთავარია, ბრონკანის ხელში გაუვლიათ ჩვენი ნაკრების ლამის ნახევარ შემადგენლობას და ქართული რაგბის ავანჩავანი სხვებზე უკეთ იცის. ერთი სიტყვით, კონსულტანტად ანრი ბრონკანის კანდიდატურა ზედგამოჭრილია საქართველოს ნაკრებისთვის.

**ბაჩო სვანიძე**

## ჯენკინსმა ჩვენს ძმას შველა



უელსის ნაკრების მწვრთნელმა გარეთ ჯენკინსმა კბილებით დაიცვა თავისი ჯილა სტივენ ჯონსი. „როცა პრესაში ჯონსის უაზრო კრიტიკა წავიკითხე, დასაბმელი გავხდი. მას ისეთი ხალხი აკრიტიკებს, რაგბის აზრზე რომ არაა და ერთი სული აქვს, ვინმეს ხასიათი წაუხდინოს. სტივენს სრულიად ვენდობი და დარწმუნებული იყავით, საფრანგეთთან აუცილებლად ვათამაშებ" — განაცხადა ჯენკინსმა.

ფრანგული „კლერმონისა" და უელსის ნაკრების მე-10 ნომერი უელსელმა ჟურნალისტებმა ირლანდიასა და შოტლანდიასთან ჩაგდებული მატჩების შემდეგ გააკრიტიკეს. ცნობისთვის, „კლერმონში" ქართველი მორკინალები გოდერძი შველიძე და დავით ზირაქაშვილი თამაშობენ და ჯონსთან ძმაკაცობენ კიდეც.

## ქუდზე კაცი

ექვსი ერის მესამე ტურში საფრანგეთთან წაგების შემდეგ, ირლანდიელებს უკან დასახევი გზა აღარ დარჩათ. თუ კელტებს ჩემპიონობა უნდათ, ამ უქმეებზე დუბლინში აუცილებლად უნდა მოუგონ ფერზე მოსულ ინგლისს. საამისოდ ირლანდიელთა მწვრთნელმა ედი ოსალივანმა ქუდზე კაცს უხმო და ფრანგებთან ნათამარ 22-კაცა რაზმს ექვსი ახალწვეული დაუმატა. ოსალივანის აზრით, სამ უკანახაზელს კირან ლუისს, ბარი მერფის და რობერტ კარნის შანსი აქვთ, ნაკრებში ადგილი დაიმკვიდრონ. ახალწეულთაგან სამნი კი მორკინალები არიან: ბრაიან იანგი, ტრევის ჰოგანი და სტივენ ფერისი გუშინ შეუერთდნენ საწვრთნელ ბანაკს.

## ეშტონი გაცოფდა

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა სულ ცოფები ყარა, როდესაც უქმეებზე ირლანდიასთან ისტორიული მატჩისწინა შეკრებაზე ძირითადი შემადგენლობის ექვსი მორაგბე ტრავმირებული გამოცხადდა.

მაგნუს ლუნდს, ჯეისონ რობინსონს, ჯოშ ლუსის, დენი გრივკოკს, ენდი ფარელს და ოლი მორგანს მიკროტრავმები აქვთ. „კატეგორიულად ვთხოვე კლუბებს, რომ ნაკრების წევრები ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში არ დაეტვირთათ. ირლანდიასთან დიდი ბრძოლა გვექნება. ასეთი მატჩის წინ ნაკრების მორაგბეების დასვენება აუცილებელი იყო. კლუბებსაც ესმის და ამიტომ ვთხოვე, ეგებ შეცვლაზე ეთამაშებინათ ნაკრების წევრები, მაგრამ ჩემი სიტყვები არაფრად ჩააგდეს და ბიჭები ბოლომდე გამოწურეს" — ბრაზს ვერ მალავდა ეშტონი.

ერთადერთი კლუბი, რომელმაც ეშტონის თხოვნა გაითვალისწინა, „ლესტერია". ლესტერელებმა მარტინ ქორი, ლუის დიკონი და ჯორჯ შუტერი საკლუბოდ არ მოაცდინეს.

## აძურას ზელანდიელი დაემტვრა

შოტლანდიასთან მოახლოებული ჯახისთვის ემზადება იტალიის ნაკრებიც, თუმც „აძურას" გვარიანი საკადრო პრობლემა შეექმნა. გადაწყვეტილია, რომ შოტლანდიელებს ვერ ერაგბება ტომით ახალზელანდიელი მორკინალი ჯოშ სოლი. „აძურას" მღლეტელმა ინგლისთან ჯახისას მხრის ტრავმა მიიღო და ორი კვირით დააკლდა თავისიანებს. სოლის შემცვლელად იტალიელებმა ვეტერან მორკინალებს მაურო ბერგამასკოს და ანდრეა მასის უხმეს, ხოლო, ვინ იქნება ძირითადში, ეს მატჩის წინა დღეს გადაწყდება.

დიდი რაგბის თამაშს
ახლა იწყებდა...
25 წლისამ, საქართველოში
თუ რამე იყო მოსაგები,
ყველაფერი მოიგო.
თბილისის „ლოკომოტივში"
ქვეყნის სამგზის ჩემპიონი
და თასის მფლობელი გახდა.
სანდრო გილაური
საქართველოს შვიდკაცა
და 13-კაცა ნაკრებების
წევრიც იყო და მალე
საფრანგეთში აპირებდა
კარიერის გაგრძელებას...
სანდრო გილაური
საბედისწერო ტყვიამ
იმსხვერპლა...



# NBAმზეზი

## აბა, ვის უნდა კარგი კიდი?



„**გუნდში** შეუცვლელი არავინ მყავს. თუ ვინმეს რომელიმე ჩემი მოთამაშე თვალში მოუვიდა, მობრძანდით და დავიწყოთ მოლაპარაკებები“ — ეს სიტყვები, რომლებიც ნბა-ს ყოფილმა დიდმოხელემ, აწ კი „ნიუ ჯერსი ნეთსის“ შეფ როდ ტორნმა თქვა, იქნებ ამ კლუბისთვის ყველაზე წარმატებული ეპოქის დასასრულსაც ნიშნავდეს.

ტორნმა თქვა ყველაო და „ხელშესახებ“ მოთამაშეებში გუნდის ლიდერი ჯეისონ კიდიც კი არა, პირველი რიგში სწორედ ის იგულისხმა მეორე ლიდერ და ოლსტარელ ვინს კარტერთან ერთად. ამგვარად, დიდი შანსია, კლუბს ისტორიაში საუკეთესო მოთამაშესთან განშორებაც მოუხდეს.

ვეტერანის ასაკში ფეხშედგმული კიდი კვლავაც ფორმაშია, 33 წლისაც ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია და მიმდინარე რეგულარულში რამდენიმე სამმაგი დუბლიც შეასრულა, მაგრამ მის გუნდს უჭირს და დიდი შანსია, უპლეიოფოდ დარჩეს, პირველად კიდურ ეპოქაში. როდ ტორნი კი იმის მაგივრად, რომ შემადგენლობის მოძლიერებაზე და რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშეების ღირსეულ შეცვლაზე იფიქროს, საშველს ლიდერების საერთოდ გაშვებასა და ახალი გუნდის აშენებაში ხედავს.

კიდს ახლა მცირე ტრავმა აქვს, რის გამოც კვირას ოლ სტარი გამოტოვა, მაგრამ ოთხშაბათისთვის ფორმაში იქნება და ვინ იცის, უკვე სხვა გუნდშიც გახლდეთ. სწორედ ოლ სტარის დროს მიიღო ტორნმა უამრავი წინადადება, რომელთა შორისაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსია“ ამოსარჩევი. მძლავრი კალიფორნიული გუნდი ვეტერანი გამთამაშებლის შეძენის სერიოზულ სურვილს გამოთქვამს, ოღონდ ისე, რომ თავისი სამი საუკეთესო მოთამაშიდან (კობი ბრაიანტი, ლამარ ოდომი, ლუკ უოლტონი) ყველა შერჩეს. დიდია იმის ალბათობა, რომ „ლეიკერსმა“ „ნიუ ჯერსის“ თავისი ძირითადი ცენტრი, მეორეწლიანი პერსპექტიული ენდრიუ ბინამი შეაძლიოს და მას ხურდად რომელიმე სათადარიგო გააყოლოს.

არის კიდევ რამდენიმე სერიოზული გუნდი, რომლის შეფებიც გამოცდილი გამთამაშებლის თავისთან ყოლას ისურვებდნენ, მაგრამ თავად კიდზე თუ იქნება დამოკიდებული, ის ალბათ „ლეიკერსს“ არჩევს, რომლის ამბიციურობა და გეგმები კიდისთანაც მრავლისმნახველ კაცსაც დააზვევს თავბრუს.

**ბოტე ყორშია**

## ბუზერი მალე გააჯაზებს



რამდენიმეკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ „იუტა ჯაზის“ კარლოს ბუზერი უბრუნდება „ჯაზმენების“ ლიდერობას. მარცხენა მუხლზე მიღებული მძიმე ტრავმა თითქმის მოირჩინა და როგორც ექიმები ვარაუდობენ, ორი ოდ დღეში სრულ მზადყოფნაში იქნება. ახლა ბუზერი მკურნალობის ბოლო სტადიაზეა და ნატრავმალ მუხლზე ფიზიოთერაპიულ კურსს იტარებს.

## ამხელა კაცი ბურთივით გაგორდა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ სერბ ფორვარდ ვლადიმირ რადმანოვიჩს ცუდი ამბავი შეემთხვა — დაეცა, მხარი დაიზიანა და ექიმების თქმით, მინიმუმ 2 თვე მოედანს ვერ გაეკარება. საინტერესო კი ისაა, რომ რადმანოვიჩი მოედანზე კი არა, ყინულზე დაეცა. სერბი ვარჯიშიდან ბრუნდებოდა, როცა მოლიპულ გზაზე ფეხი დაუცდა და...

## ნეშმა გამოანათა

„ფინიქსის“ შავი დღეები მალე დასრულდება. მოედანს უბრუნდება „მზეების“ ლიდერი, ლიგის ორგზის უძვირფასესი მოთამაშე სტივ ნეში, რომელმაც მარჯვენა მხრის ტკივილის გამო რამდენიმე კვირა გამოტოვა. უნეშობის პერიოდში ლიგის ერთ-ერთი მოწინავე „ფინიქსი“ რიგით გუნდად იქცა და ვისაც არ დაეზარა, თითქმის ყველამ გაჰკრა კბილი. „მე აღარ ვგრძნობ ტკივილს და თუ ხვალ საღამომდე რამე პრობლემამ არ იჩინა თავი, ზეგ მოედანზე გავალ“ — განაცხადა სტივ ნეშმა.

## სამეული გამართლდა

მაიამელ გერი პეიტონს, კლიპერსელ სემ კასელს და მილუოკელ ჯეისონ კიდს შეუძლიათ, მშვიდად იძინონ. ამ სამეულს სასამართლომ ყველა ბრალდება მოუხსნა და ის საქმე დახურა, რომელიც 2003 წლის 11 აპრილს აღიძრა მათ წინააღმდეგ. 4 წლის წინ ეს ბიჭები ტორონტოს ერთ-ერთ ღამის კლუბში დამთვრალან და სტრიპტიზიორ გოგონებზე იერიში მიუტანიათ. საქმის ძიება 4 წელი გაიწელა და გამოძიებამ NBA-ს ვარსკვლავების ქმედებაში რაიმე კანონსაწინააღმდეგო ვერ აღმოაჩინა.



# ნუგზარ სხირელის თავისუფალი არჩევანი

**საქართველოს** ოთხდღიანი ახალგაზრდული ჩემპიონატი გუშინ დასრულდა. ლევან თედიაშვილის სახელობის დიდმის საჭიდაო დარბაზის ხალიჩებზე ტურნირის დასკვნით ორ დღეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გავიდნენ და გამოავლინეს ჩემპიონ-პრიზიორები. შეხვედრები სამ ხალიჩაზე იმართებოდა, მაგრამ ფინალური ბრძოლების დროულად დაწყება მაინც არ მოესწრო. არაპუნქტუალურობის მიზეზი მონაწილეთა რაოდენობა გახდა. სულ ჩემპიონატში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 238 მოჭიდავე გამოვიდა. ასეთი სიუხვე ახალგაზრდული პირველობას დიდი ხანია არ ახსოვს.

ყველაზე მეტი, სამი ოქროს მედალი თბილისელებმა მოიპოვეს. ორი გორში წავიდა, აჭარის, ქუთაისისა და ონის გუნდებმა კი თითო ჩემპიონით გაიხარეს. კლასიკოსი კოლეგის ვლადიმერ ადეიშვილისგან განსხვავებით, თავისუფალთა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ნუგზარ სხირელმა დასვენების უფლება ეროვნული გუნდის არც ერთ წევრს არ მისცა. შიდა კონკურენციას ერთხელაც დააკვირდა და უკვე საევროპო დასკვნებიც გამოიტანა. აქვე ნუგზარ სხირელის ნატურნირევს გაკეთებული შეფასებებიც:

„ყველაზე მეტად მონაწილეთა რაოდენობა გამიხარდა. ბოლო ოთხი წლის ჩემპიონატებზე 150-160 მოჭიდავე გროვდებოდა ხოლმე. ახლა კი უცებ ამდენით მოიმატა. ვერ ვიტყვი, რომ პროგრესი ხარისხსაც დაეტყო, მაგრამ ეს ლოგიკურიცაა. მოჭიდავეთა რიცხვის გაზრდა შიდა კონკურენციას ნელ-ნელა გაზრდის. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს არაერთი ახალი სახე გამოჩნდება.

...ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მიზანი ძირითადი ნაკრებისთვის ძლიერი კადრების მიწოდებაა. ამჟამინდელი ჩემი გუნდის კანდიდატები ამისთვის მზად ჯერჯერობით არ არიან, თუმცა მათი დროც მოვა. სავარაუდოდ, 2012 წლის ქართული გუნდი ამ ბიჭებით დაკომპლექტდება. ბედნიერი ვარ, რომ დავით მოძმანაშვილმა დიდებში მოახერხა საქართველოს ჩემპიონატის მოგება და უკვე ძირითად ნაკრებშიც ჩაეწერა. მან ახალგაზრდებში რაც კი მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგო.

...ჩემპიონთაგან ყველაზე სასიამოვნოდ გოჩა ლომთათიძემ (74კგ) გამაკვირვა. ამ ბიჭმა ბრწყინვალედ იჭიდავა. ნაკრების ორ უმთავრეს კანდიდატს გიორგი მარსაგიშვილსა და მარად ზოიძეს მოუგო და ევროპის ჩემპიონატზე წასვლა თითქმის გაინაღდა. წინ საერთაშორისო ტურნირებია და მათზე ყველა ღირსეულს გამოვცდი, მაგრამ აქედანვე ვიტყვი, რომ ევროპირველობაზე წამსვლელი გუნდი ძირითადად საქართველოს ჩემპიონებით დაკომპლექტდება. ამ ბიჭებმა თავიანთი უპირატესობა შიდა კონკურენციაში დაამტკიცეს. თუმცა რამდენიმე წონაში ორ-ორ უმთავრეს კანდიდატს კიდევ დავაკვირდები. ამას რომ ვამბობ, პირველ რიგში 55 კილოგრამს ვგულისხმობ, რომელშიც ოქროს მედლის ბედი მონეტამ გადაწყვიტა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



**თავისუფალი ჭიდაობა**
**საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი**
თბილისი. 19-20 თებერვალი

**50 კგ**
1 დავით ბერძენიშვილი (გორი)
2 ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი)
3 კონსტანტინე გავაშელი (თბილისი)
3 ლაშა ღვინიანიძე (სამტრედია)

**55 კგ**
1 მურთაზ კვესაძე (ქუთაისი)
2 გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი)
3 გურგენ ერემიანი (დედოფლისწყარო)
3 ვასილ მამულაშვილი (საგარეჯო)

**60 კგ**
1 გიორგი მაყიშვილი (გორი)
2 მიხეილ პრელმანი (ხონი)
3 გიორგი გელაძე (ყაზბეგი)
3 მირზა კახიძე (აჭარა)

**66 კგ**
1 ნიკო რეხვიაშვილი (ონი)
2 ზაურ აბრამიშვილი (გორი)
3 გელა ნადირაძე (საჩხერე)
3 რევაზ ჯანელიძე (თბილისი)

**74 კგ**
1 გოჩა ლომთათიძე (თბილისი)
2 მარად ზოიძე (აჭარა)
3 გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი)
3 ოთარ ურატაძე (ქუთაისი)

**84 კგ**
1 ბექა ჭელიძე (აჭარა)
2 შავლეგ ჩიტიშვილი (კასპი)
3 იმედა ქაშაკაშვილი (ქუთაისი)
3 გიორგი ჩიტიშვილი (ყვარელი)

**96 კგ**
1 გიორგი ჩიქოვანი (თბილისი)
2 თორნიკე ხიდაშელი (გარდაბანი)
3 ზურაბ ტატულაშვილი (ყვარელი)
3 ლევან ქობელაშვილი (მცხეთა)

**120 კგ**
1 გიორგი ნიკურაძე (თბილისი)
2 ლევან ბერიანიძე (თბილისი)
3 თორნიკე შიოშვილი (თბილისი)
3 გიორგი ვეფხვაძე (ხარაგაული)

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

# პინგვინების წამების 27 წამი

19 თებერვალი

**აილენდერსი 6:5 პიტსბურგი**

*1:2 3:2 2:1*

0:1 მელოუნი (1), 1:1 კოზლოვი (15), 1:2 რეკი (20), 1:3 მელოუნი (3), 2:3 საიმონი (23), 3:3 ბლეიკი (23), 4:3 შატანი (29), 4:4 რეკი (39), 4:5 მელოუნი (41), 5:5 საიმონი (42), 6:5 სილინჯერი (60)

**ნეშვილი 4:1 ფინიქსი**

*1:0 3:0 0:1*

1:0 დიუმონი (19), 2:0 არნოტი (21), 3:0 პარტნელი (26), 4:0 პარტნელი (26), 4:1 საპრიკინი (58)

**ფილადელფია 3:6 ბოსტონი**

*0:1 3:3 0:2*

0:1 შტურმი (14), 1:1 აპშელი (21), 2:1 კარტერი (28), 2:2 აკსელსონი (28), 2:3 ტენკრატი (32), 2:4 ტენკრატი (36), 3:4 კოლდერი (37), 3:5 ბოჩენსკი (44), 3:6 სავარი (60)

სულ რაღაც 26,8 წამი დააკლდა „პიტსბურგს" თავისი სუპერსერიის 17-მდე ასაყვანად — დაფრთიანებული და მოფერიანებული პინგვინები ოლ სტარის შემდეგ ნჰლ-ში ყველაზე შთამბეჭდავად გამოიყურებიან — ანტარქტიდის ბინადრები ზედიზედ 16 მატჩი უქულოდ არ ტოვებდნენ ყინულს, რის გამოც საპლეიოფო ზონაშიც მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და კონფერენციაში მეოთხე ადგილამდე ალზევდნენ. თუმც ყველაფერს აქვს დასასრული და ამ სერიასაც უნდა ჰქონოდა ბოლო. ერთი ეგაა, რომ ეს „პიტსბურგისთვის" მეტად მტკივნეულად მოხდა, რადგანაც გუნდმა მშვენივრად ითამაშა „აილენდერსთან", ხუთი შაიბაც გაიტანა და დამარცხებას არ იმსახურებდა — თავი რაიან მელოუნმა (ჰეთ 'თრიქი), მარკ რეკიმ (2 გოლი და 3 გადაცემა) და სიდნი კროსბიმ (4 გადაცემა) გამოიჩინეს. მაგრამ ამ სამეულს გარჯა ახალგაზრდა მეკარე მარკ-ანდრე ფლერიმ ჩაუყარა წყალში, რომელსაც ამ სეზონში ასე უსუსურად ჯერ არ უთამაშია — მატჩის დამთავრებამდე უკვე ნახსენები 27 წამით ადრე კი უიოლესი გოლი გაუშვა მაიკ სილინჯერისგან და... „პინგვინების" სერიასაც სწორედ ასე მოეღო ბოლო.



# ისევ ზეტერბერგი

**ზედიზედ** მეორე კვირაა, პირველ ვარსკვლავად „დეტროიტის" შვედ ლიდერ ჰენრიკ ზეტერბერგს ასახელებენ. სკანდინაველი ბოლო ხანებში შეუჩერებელია — ამ შვიდდღეულშიც „ზეტამ" სასწაულად იჩაუქა და 8 ქულა (4+4) დააგროვა. ყველაზე იღბლიანად შვედმა „ფინიქსთან" ითამაშა, როცა თავისი პირველი NHL-ური ჰეთ თრიქი შეასრულა. მეორე ვარსკვლავობა „ანაჰაიმის" სუპერსნაიპერ ტეემუ სელიანეს ერგო, რომელმაც ზეტერბერგის მსგავსად 8 ქულა დააგროვა — მანაც (4+4). ხანმოკლე ჩავარდნის შემდეგ „ფინური ელვა" კვლავაც დიდებულად ირჯება და გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალადაც რჩება. „ლოს ანჯელესთან" გატანილი შაიბის შემდეგ კი სელიანე „იხვების" ყველა დროის სნაიპერთა სიაში პირველ ადგილზე გადავიდა, გაასწრორა პოლ კარიას. მესამე ვარსკვალავად „კოლორადოს" უბერებელი კაპიტანი ჯო საკიკი დასახელდა, რომელმაც 5 ქულის (2+3) დაგროვება მოახერხა. კვირის შუაწელზე „კალგარის" კარში გატანილი შაიბა კი მისთვის კარიერაში მე-600 გამოდგა.

# ხმლების ლეწვა ბუფალოში

**რეგულარული** ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდსა და სტენლის თასის უმთავრეს მაძიებელთა შორის მყოფ „ბუფალოს" ბოლო დროს პრობლემები მოეძალა. ტრავმების გამო გუნდი ერთმანეთის მიყოლებით კარგავს ჰოკეისტებს, რაც „ხმლებს" მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რადგანაც პლეიოფამდე თვეზე ოდნავ მეტიღა თუ დარჩა.

ერთი კვირის წინ დამტვრეულ მაქსიმ აფინოგენოვს, რომელიც თვენახევარი ვერ გავა ყინულზე, ორიოდ დღის წინ. ჩეხი ალეშ კოტალიკიც მიემატა, რომელმაც „ბოსტონთან" მუხლი დაიზიანა და 4-დან 6 კვირამდე მოუწევს ლაზარეთში სტუმრობა. ხოლო თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ გუნდმა ასევე ტრავმების გამო მოისაკლისა პოლ გოსტადი, წამყვანი მცველი იაროსლავ შპაჩეკი და ირჟი ნოვოტნი, ხოლო ცენტრი ტიმ კონოლი წლეულს საერთოდ არ გასულა ყინულზე, გასაგები გახდება, რამხელა პრობლემების გადაჭრა მოუწევს გუნდის მწვრთნელ ლინდი რაფს.

**ბაჩა ლომაშვილი**

ჭადრაკი

## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი | 2,0 |
| 2. | ვასილ ივანჩუკი | 2,0 |
| 3. | მაგნუს კარლსენი | 1,5 |
| 4. | პეტერ ლეკო | 1,5 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 1,5 |
| 6. | ლევონ არონიანი | 1,5 |
| 7. | ვესელინ ტოპალოვი | 1,0 |
| 8. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 1,0 |

# ვეფხვმა ვიკინგი შეჭამა



**ვიშვანათან ანანდმა** შავი ფიგურებით 16 წლის მაგნუს კარლსენი დაამარცხა და პირველ ადგილზე ვასილ ივანჩუკს შეუამხანაგდა. ლიდერთა წყვილი ორი ქულით პირველობს ცხრილს და უახლოეს მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებს.

კარლსენმა შეხვედრა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, წინ მსუბუქი ფიგურები გამოუშვა და მეტოქეს შეუტია. ანანდმა ლაზიერის ფლანგი განავითარა, პაიკები საომრად მომართა და უკან მხედრები ამოუყენა. მცირე შეტაკების შემდეგ ინდოელმა ვეფხვმა ასპარეზზე მძიმე ძალა გამოიყვანა, კარლსენს სახიფათოდ შეუტია და 31-ე სვლაზე პაიკს გამორჩა. ანანდმა კიდევ უფრო განავითარა შეტევა, ნორვეგიელის მეფეს ყველა გასასვლელი ჩაუკეტა და მე-40 სვლაზე დაატყვევა.

საშინლად ასპარეზობს ფიდეს რეიტინგის ლიდერი ვესელინ ტოპალოვი. მსოფლიოს ექსჩემპიონს აქტივში ერთი ქულა უწერია და ალექსანდრ მოროზევიჩთან ერთად ბოლო ადგილს ხეხავს.

**ლაშა გეგეჭკორი**

ველორბოლა

# ლეიფჰემერს ბასო ეწყინა



**ამერიკის** დასავლეთში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, პოპულარული ამერიკული ველორბოლა „კალიფორნიის ტური" დაიწყო და პროლოგისა და პირველი ეტაპის შემდეგ რბოლის მასპინძელი, „დისქავერი ჩენელის" წევრი ლევი ლეიფჰემერი დაწინაურდა.

ლეიფჰემერი „დისქავერიში" გასული სეზონის დასრულების შემდეგ დაბრუნდა გერმანული „გეროლშტაინერიდან" და ფიქრობდა, რომ გუნდის ლიდერი იქნებოდა, მაგრამ მერე ამერიკელებმა ივან ბასოსთან გააფორმეს კონტრაქტი და ალბათ, სწორედ იტალიელზე გააკეთებენ აქცენტს წლევანდელი სეზონის უმთავრეს რბოლებში.

ლეიფჰემერი ამის გამო წყენას არ მალავს. კალიფორნიული პროლოგის მოგების შემდეგ მან განაცხადა, რომ არ იყო საჭირო რეპუტაციაშელახული მრბოლის გუნდში აყვანა. თუმცა, აქ რეპუტაცია ალბათ არაფერ შუაშია — ლეიფჰემერს ბასოს გრეგარობა მოუწევს და სწორედ ეს აღარდებს.

# ხმელთაშუა ზღვის გუტიერესი



**იტალიურ** სან რემოში დასრულდა წლევანდელი ველოსეზონის პირველი მნიშვნელოვანი ველორბოლა „ხმელთაშუა ზღვის ტური". ერთკვირიანი და ექვსეტაპა შეჯიბრი ესპანური „ილეს ბალეარესის" ესპანელმავე მრბოლმა ივან გუტიერესმა მოიგო.

გუტიერესმა საერთო ჩათვლაში 52 წამით აჯობა თავის თანამემამულეს, ახლადშექმნილი რუსული გუნდის „ტინკოფის" წევრ სერანოს. მესამე ადგილზე კი გამარჯვებულის თანაგუნდელი, ოლონდაც რუსი ეფიმკინი გავიდა.

სნუკერი

# რობერტსონის უელსური კიი

**გასულ კვირას** ნიუპორტში დასრულდა ბილიარდის ყველაზე პოპულარული და ეშხიანი სახეობის — სნუკერის მორიგი, წლეულს მეორე სარეიტინგო ტურნირი, უელსის ღია პირველობა.

პირველი ასეთი შეჯიბრი რამდენიმე კვირის წინ მალტაში ჩატარდა. „მალტის თასი" ინგლისელმა შონ მერფიმ მოიგო. უელსში კი მოვლენები სრულიად წარმოუდგენელი სცენარით განვითარდა და ფინალში ერთმანეთს ახალი თაობის წარმომადგენლები — ავსტრალიელი ნილ რობერტსონი და ინგლისელი ენდრიუ ჰიგინსონი დაუპირისპირდნენ.

ფინალისკენ სავალ გზაზე 26 წლის ოზმა სნუკერის ისეთი დიდოსტატები ჩამოიცილა, როგორებიც შოტლანდიელი სტივ ჰენდრი და ინგლისელები — რონი ოსალივანი და სტივ დევისი არიან (ამ სამეულის ანგარიშზე, ჯამში მსოფლიოს ჩემპიონის 15 ტიტულია!), ხოლო ჰიგინსონმა სულაც სასწაული მოახდინა და ერთ-ერთ პარტიაში უიშვიათესი რამ, ქულების მაქსიმალური ოდენობა — 147 გააკეთა.

ფინალი დიდებული სანახავი გამოდგა. თავიდან რობერტსონი 6:2 დაწინაურდა, მაგრამ მერე ჰიგინსონმა ზედიზედ 6 ფრეიმი მოიგო და 8:6-ზე მას ერთი მოგებაღა აშორებდა საბოლოო გამარჯვებამდე. არ გამოვიდა — გადამწყვეტ მომენტში ინგლისელმა შეცდომებს უხშირა, ხოლო ავსტრალიელი პირიქით, დიდებულად ათამაშდა, სამი ფრეიმი მიყოლებით მოიგო და მატჩიც მისი გამარჯვებით — 9:8 დასრულდა.

ამ ტრიუმფის წყალობით რობერტსონმა მსოფლიო რეიტინგში მე-13 ადგილზე აიწია 27000 ქულით. კლასიფიკაციის სათავეში კი კვლავაც ბრიტანული ტრიუმვირატია შოტლანდიელი ჰენდრის (36437), ირლანდიელი კენ დოჰერტისა (36137) და ინგლისელი ოსალივანის (36012) სახით.

შემდეგი სარეიტინგო ტურნირი, ჩინეთის ღია პირველობა მარტის ბოლოს დაიწყება, აპრილ-მაისის გასაყარზე კი სეზონის უმთავრესი შეჯიბრი, მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება.

**გია მუჯირი**



# ანამ კოლუმბია აღმოაჩინა



**ნორჩმა** ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში WTA-ს ეგიდით მიმდინარე 175-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გააღწია.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ანამ მასპინძელ პაულა-კატალინა რობლეს-გარსიასა და ამერიკელ ჯულია კოენთან იოლი გამარჯვებების შემდეგ სამ სეტში — 6:0 3:6 6:2 დაამარცხა ბრაზილიის პირველი ჩოგანი, რეიტინგში 206-ე ადგილზე მყოფი ჯენიფერ ვიჟაჟა და ძირითად ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

პირველ წრეში ტატიშვილის მეტოქე 25 წლის არგენტინელი ხორხელინა კრავერო იქნება, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 144-ე პოზიცია უჭირავს და არგენტინელთა მესამე ნომრად ითვლება გიზელა დულკოსა და კლარისა ფერნანდესის შემდეგ.

თუ ამ კრავეროს მოუგებს, მერე ტატიშვილი ან ტურნირის პირველ ნომერს, იტალიელ ტატიანა გარბინის შეხვდება, ანაც გერმანელ კატრინ ვოერლეს.

ტატიშვილისგან განსხვავებით, ვერ შეძლო საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევა სალომე დევიძემ. სალომე ამერიკაში, ფლორიდის შტატის ქალაქ კლეროუტერის 3 არდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე თამაშობდა და კვალიფიკაციის პირველივე შეხვედრაში 6:7 4:6 დამარცხდა 16 წლის რუს მარია მოხთან, ვინც რეიტინგში დევიძეზე გაცილებით დაბლა — 909-ე ადგილზე იმყოფება.

# თავისუფალი ვინუსი
## უაზრო ფიქრი და ბევრი სიბრიყვე

**ოთხთვიანი** შესვენების შემდეგ კორტზე პირველად ვიხილეთ ვინუს უილიამსი, რომელიც თავისი უმცროსი დის სერენას ავსტრალიურ წარმატებას სერიოზულად შეუგულიანებია და ახლა ისიც აპირებს ძველი სახელის აღდგენას.

უფროსი უილიამსის დაბრუნება სამშობლოში, მემფისის კორტებზე მოხდა და პრინციპში წარმატებულიც აღმოჩნდა, რადგანაც შავმა ქურციკმა იანკიმ წვალებით, მაგრამ მაინც იმარჯვა. თუმც აქ მთავარი სწორედ გამარჯვება იყო, ამდენი ხნის უთამაშებელი ჩოგბურთელი თავიდანვე ხომ ვერ იფრენდა. არადა, უილიამსმა დიდებულად დაიწყო და პირველ სეტში პირწმინდად გაანადგურა აკიკო მორიგამი, მაგრამ შემდეგ კი შეცდომების კორიანტელი დააყენა და იაპონელს ანგარიში გაათანაბრებინა.



„პირველ პარტიაში ძალიან თავისუფლად ვთამაშობდი და ამიტომაც პრობლმები არ მქონია. მაგრამ შემდეგ ზედმეტი ფიქრი დავიწყე — თავში ბევრი უაზრო იდეა მიტრიალებდა და იმდენი ბრიყვული შეცდომა დავუშვი, მთელ ტურნირზე მეყოფოდა. თუმც, საბედნიეროდ, დროზე მოვასწარი გონს მოსვლა. ახლა მთავარი სწორედ გამარჯვებაა, და მნიშვნელობა არა აქვს, როგორ მივაღწევ მას“ — ასე ახსნა თავისი უცნაური თამაში ვინუსმა, რომელსაც 1 საათი და 45 წუთი დასჭირდა მორიგამის წასაქცევად.

ასეა თუ ისეა უფროსი უილიამსიც დაბრუნდა და მიუხედავად არც ისე სახარბიელო ფორმისა, საჩოგბურთო სამყაროს დამატებითი ინტრიგა შემატა. შემდეგ წრეში ვინუსი დანიელ ამომავალ ვარსკვლავს, 16 წლის კაროლინ ვოზნიაკს დაუპირისპირდება.

ქალთა ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი კი ამ კვირაში დუბაიში იმართება. იქ ბევრი ბობოლა შეიკრიბა, თუმც ჯერჯერობით ისინი კორტს გარეთა საქმიანობით უფრო არიან დაკავებულნი. მაგალითად, ჟუსტინ ენინმა და სვეტლანა კუზნეცოვამ არაბეთის უდაბნოში „გაისეირნეს“ და ქვიშაზე მოაწყვეს საჩვენებელი შეხვედრა. კორტზე მომხდარიდან კი პატი შნიდერის ჯახირ-ჯახირით მოპოვებული გამარჯვებაა გამოსაყოფი — შვეიცარიელი 2 საათი და სამი სეტი ეჭიდავა ფრანჩესკა შიავონეს და მეორე წრეს ასე უწია. მოულოდნელობა იყო მეშვიდე ნომრად განთესილი ნა ლის მარცხიც, რომლის ცოდვაც ბერძენმა ელენი დანილიდუმ დაიდო.

მოსალოდნელზე სერიოზული აღმოჩნდა ლეიტონ ჰიუიტის ტრავმა — ამის გამო ოზმა მარსელში მეოთხედფინალის დასრულება ვერ მოახერხა, ახლა კი როტერდამში საერთოდ ვერ ჩავიდა.

სამაგიეროდ, ამ ჰოლანდიურ პორტში რუსებმა გაილაღეს — მელბურნის შემდეგ პირველად იხეირა ნიკოლაი დავიდენკომ, რომელიც იოლად გაუსწორდა გერმანელ მიხაელ ბერერს.

აი, მიხაილ იუჟნიმ კი ნამდვილი სენსაცია გამოაცხო, დაამარცხა რა მეოთხე ნომრად განთესილი ძლიერი ჩეხი ტომაშ ბერდიხი. მოსკოველი მხოლოდ მეორე სეტის ტაიბრეიკზე ვერ იყო თავის სიმაღლეზე — სამაგიეროდ, დანარჩენ ორ პარტიაში სიტუაციის ბატონ-პატრონი გახლდათ.

**ბახა ლომჯამვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოჭში კომისიამ ტომებში ჩაყვინთა

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატ ქალაქებში მოგზაურობს, გუშინწინ სოჭის ოფიციალური ინსპექცია დაიწყო. პანსიონატ „როდინაში“ გუშინ კომისიის წევრებს „სოჭი 2014“-ის საგანაცხადო წიგნი, 17 ტომი წარუდგინეს.

საინტერესოა, რომ სოჭელთა საგანაცხადო წიგნი, რომელიც თავის მხრივ სამ ძირითად ტომად იყოფა, 500 გვერდიანია და 550-ზე მეტ ოფიციალურ გარანტიას შეიცავს.

„როდინაში“ გამართულ სხდომაზე საგანაცხადო წიგნის ყოველი თავის პრეზენტაციის შემდეგ კითხვა-პასუხის სერია ეწყობა. ამასთან, კომისიის წევრებს უფლება აქვთ, დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაციაც მოითხოვონ.

შემფასებელი კომისიის მეთაურმა, იაპონელმა ტიჰარუ იგაიამ პირველი შთაბეჭდილების გაზიარებისას თქვა: „სოჭის განაცხადი ძალიან სერიოზულია. მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები რუსეთში, რომელიც 1956 წლიდან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს“, დაწვრილებითი კომენტარისგან კი, რაც კომისიის სხვა წევრებსაც ეკრძალებათ, ბუნებრივია, თავი შეიკავა. თავიანთი დასკვნების თაობაზე ხმამაღლა ისინი ამ ზაფხულს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე ისაუბრებენ და თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის ბედიც სწორედ მაშინ გადაწყდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# არმინ ცოგელერის ექვსთასიანი ერა

**ლატვიურ** სიგულდაში გამართული ეტაპით დასრულდა მოციგავეთა მსოფლიოს თასის 2006-07 წლების გათამაშება.

კაცებში მსოფლიოს თასი ზედიზედ მეორედ, კარიერაში კი მეექვსედ მოიგო ციგის იტალიელმა ჯადოქარმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა არმინ ცოგელერმა. თანაც ცოგელერმა ეს, მართლაც რომ ტრიუმფატორის შესაფერისად გააკეთა — სიგულდაშიც ყველას აჯობა და საერთო ჩათვლაში მოგროვილი 815 ქულით შორს ჩამოიტოვა უახლოესი კონკურენტები, გერმანელი დევიდ მიოლერი (705) და თავისივე თანამემამულე რეინოლდ რაინერი (451).





თუ კაცთა შორის იტალიელებმა დაჩაგრეს გერმანელები, ქალებში საერთო ჩათვლის კვარცხლბეკი მთლიანად გერმანელებმა დაიკავეს — მსოფლიოს თასი ჯამური 845 ქულით სილკე კრაუშაარ-პილახმა მოიგო, მეორე ადგილზე 685 ქულით ტატიანა ჰუფნერი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი 604 ქულის მომგროვებელ ანკე ვიშნევსკის ერგო.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## მერვედფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

**რეალი (ესპანეთი) 3:2 ბაიერნი (გერმანია)**

1:0 რაული (12), 1:1 ლუსიო (23), 2:1 რაული (28), 3:1 ვან ნისტელროი (34), 3:2 ვან ბომელი (88)

რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი (რაულ ბრავო 59), კანავარო, ელგერა, მ. ტორესი, გუტი, გაგო, იგუაინი (რობინიო 53), ბექემი, რაული, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, დემიკელისი (სალიჰამიჯიჩი 46), ლამი, ჰარგრივსი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (შოლი 79), პოდოლსკი (კ. პიზარო 61), მაკაი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: დემიკელისი, შვაინშტაიგერი, ჰარგრივსი

მსაჯი: ფ. დე ბლეეკერი (ბელგია)

75 000 მაყურებელი

**ლილი (საფრანგეთი) 0:1 მანჩესტერი (ინგლისი)**

0:1 გიგზი (83)

ლილი: ტ. სილვა, დებუში, ტავლარიდისი, ბოდმერი, ფოვერი (კაბაიე 57), ოდემვინჯი (ოდელი 75), მაკუნი, ტაფორო, შალმე, პლესტანი, ობრანიაკი (ბასტოსი 90)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ევრა, ვიდიჩი, კ. რონალდუ (საა 67), სქოულზი, კარიკი, გიგზი, ლარსონი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ფოვერი, დებუში, სილვა, ევრა, ვიდიჩი

მსაჯი: ე. ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

35 200 მაყურებელი

**სელტიკი (შოტლანდია) 0:0 მილანი (იტალია)**

სელტიკი: ბორუცი, ნეილორი, უილსონი, სნო, ოდია, მაკმანუსი, მაკრეიდი, ლენონი, ნაკამურა, კ. მილერი (იაროშიკი 63), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

მილანი: კალაჩი, მალდინი, კალაძე (ბონერა 63), ოდო, ამბროზინი, იანკულოვსკი, გატუზო, გურკუფი, პირლო, კაკა, ჯილარდინო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: მალდინი, ნაკამურა, ჯილარდინო

მსაჯი: ტ. ჰაუგე (ნორვეგია)

58 785 მაყურებელი

**პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:0 არსენალი (ინგლისი)**

1:0 მენდეში (61)

პსვ: გომესი, კრომკამპი, ალექსი, სიმონსი, კოკუ, და კოშტა (სუნ ჟიანი 66), კულინა, სალსიდო, დიეგო (ვარიუნენი 75), ა. კონე, მენდეში

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

არსენალი: ლემანი, კ. ტურე, სენდეროსი, კლიში, ფაბრეგასი, გალასი, როსიცკი, ა. გლები (ბაპტისტა 76), ჟილბერტო სილვა, ადებაიორი, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სენდეროსი

მსაჯი: ტ. ოვრებო (ნორვეგია)

41 000 მაყურებელი

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XXXIV ტური**

ბარნსლი 3:0 ჰალი
ბირმინგემი 1:1 სანდერლენდი
ბარნლი 0:1 ლესტერი
ძოვენთრი 2:1 საუთჰემპტონი
იფსვიჩი 0:1 ვულვზი
ლიდსი 0:0 ქუინზ პარკი
ლუთონი 3:2 უესდი
პლიმუთი 3:0 კოლჩესტერი
პრესტონი 2:1 ნორვიჩი
საუთენდი 0:1 კრ. პალასი
ვესტ ბრომვიჩი 1:0 კარდიფი

**პირველი ლიგა XXXIV ტური**

ბორნმუთი 0:2 იოვილი
კარლაილი 0:0 ჩესტერფილდი
ძრიუ 2:1 დონკასტერი
ჯილინგემი 0:1 ბრაიტონი
მილუოლი 2:5 ლეიტონი
ნოტინგემი 1:1 ბლეკპული
პორტ ვეილი 3:0 ოლდემი
როტერჰემი 2:3 ჰადერსფილდი
სუონსი 0:2 სკანთორპი
ტრანმერი 2:2 ჩელტენემი

**მეორე ლიგა XXXIV ტური**

დარლინგტონი 2:1 აკრინგტონი
ბარნეტი 1:0 სუინდონი
გრიმსბი 2:1 რეძსემი
ჰარტლპული 3:2 მაკლსფილდი
ლინკოლნი 1:4 ჰერეფორდი
დონსი 1:1 მენსფილდი
პიტერბრო 1:1 ბოსტონი
როჩდეილი 2:0 ტორკი
შრიუსბერი 2:0 ნოტსი
სტოკპორტი 1:0 უოლსოლი

**კონფერენსლიგა XXXIV ტური**

ბარტონი 1:0 ტემუორთი
ეძსეტერი 0:0 რაშდენი
ჰალიფაძსი 4:1 ვეიმუთი
კიდერმინსტერი 1:4 დაგენემი
ნორსვიჩი 1:1 ალტრინჩემი
სტაფორდი 1:3 სტივენეიჯი
უოძინგი 2:2 გრეივსენდი

## შოტლანდია

**პრემიერლიგა გადადებული მატჩი**

სენტ მირენი 0:0 მოზერუელი



AFP

# ლანსში ამბები იყო, რა დროს რეალი ბაიერნია




AFP

**ხომ** მაგარი ამბები იყო „სანტიაგო ბერნაბეუზე“, მაგრამ რაც ლანსში დატრიალდა, იმასთან შედარებით მადრიდული თამაში რა მოსატანია...

„ლილმა“ „მანჩესტერს“ ლანსის „ფელიქს ბოლერზე“ უმასპინძლა და უსაფრთხოების ნორმები ბოლომდე დაცული არ იყო, რაკი მანჩესტერელი გულშემატკივრების ნაწილი ფრანგთა სექტორში მოხვდა.

მაგრამ საეჭვოა, ამ ფაქტს რაიმე არეულობა გამოეწვია, უშუალოდ მოედანზე უკიდურესად რომ არ დაძაბულიყო ვითარება.

ტრიბუნებზე და მოედანზე ვითარება სამმა ეპიზოდმა წაახდინა. პირველი მანჩესტერელ გულშემატკივართა ნაწილის სურვილი იყო, 3-მეტრიან დამცავ ღობეზე წამოსკუპება რომ მოისურვეს. პოლიციამ უმალ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ამან გაჭრა და შემთხვევა ორი გულწასული ადამიანის (მათგან ერთი ასაკიანი ქალი იყო) საექიმოდ წაყვანით დასრულდა.

მეორე — მასპინძელთა გოლი იყო, რომელიც პეტერ ოდემვინჯიმ გაიტანა, ჰოლანდიელმა არბიტრმა ერიკ ბრაამჰაარმა კი არ ჩათვალა, ოდემვინჯიმ გოლამდე ვიდიჩთან იუხეშაო.

ეს ამბავი 61-ე წუთზე მოხდა და მღელვარება, ასე თუ ისე, ჩაცხრა, ოღონდ მცირე ხნით.

თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე კი ვითარება — უკვე მოედანზე — ლამის უმართავი შეიქნა. ეს ის დროა, როცა რაიან გიგზმა საჯარიმო დარტყმით „მანჩესტერის“ გამარჯვების გოლი გაიტანა.

საქმე კი ის არის, რომ გიგზმა მაშინ დაარტყა, როცა ლილელთა მეკარე ტონი სილვა ჯერაც ცოცხალი კედლის დაყენებაში იყო. ჰოდა, რა გასაკვირია, ამან მღელვარება რომ გამოიწვია, რისი კულმინაციაც მასპინძელი ფეხბურთელების მოედნიდან გასვლა იყო.

მართალია, „ლილი“ დაბრუნდა, მაგრამ როგორც ჩაივლიდა ის დარჩენილი წუთები, თავად მიხვდებით.

„მანჩესტერის“ მღივანმა კენ რამსდენმა კი თქვა, რომ იუნაიტედელები უეფას შეხვდებიან და ინციდენტზე ისაუბრებენ.

ამასობაში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გოლების წვიმა მოვიდა, სტატისტიკა კი გვამცნობს, რომ „რეალისა“ და „ბაიერნის“ 17 შეხვედრაში ესპანელებმა მეექვსედ იმარჯვეს. ოღონდაც ეს ის გამარჯვება არ იყო, „რეალს“ მიუნხენში ამოსუნთქვის საშუალებას რომ მისცემს.

„ბაიერნის“ დაცვა უსუსურად გამოიყურებოდა და პირველსავე ტაიმში სამი გოლი გაუშვა: რაული კანთან პირისპირ გავიდა და მართალია, მეკარემ დარტყმულს ფეხი დაუხვედრა, მაგრამ დამატებულს ალარც გასდევნებია. მეორე ესპანური გოლიც კაპიტნისა იყო, ბექემის ჩაწოდებულს და ელგერას თავურს თავურივე რომ შეაგება ზედ კარის ხაზზე. მესამე გოლი კი ვან ნისტელროიმ შეაგდო ისევ ბექემის ჩაწოდების მერე.

გერმანელებმა კი ერთი გოლი რაულის პირველი გოლიდან რამდენიმე წუთში გაქვითეს ლუსიოს თავურით, ვინაც საჰაერო ბრძოლა მოუგო კანავაროს. ხოლო გოლი, რომელმაც საპასუხო მატჩს გვარიანი ინტრიგა დაუტოვა, თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გაიტანა მარკ ვან ბომელმა, რომელიც, შეგახსენებთ, ყოფილი ბარსელონელია.

გლაზგოში „სელტიკისა“ და მილანის“ უგოლო თამაში კი მეასე იყო პაოლო მალდინისთვის ჩემპიონთა თასზე.

და ერთიც: ეინდჰოვენური მატჩის პირველ ტაიმში „არსენალი“ უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ მეორეში „მეთოფეთა“ ბანკში თითქოს პანიკა დაითესაო და შედეგიც — 1:0 პსვ-ს სასარგებლოდ.

**კოტე კეკელია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge